პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 83 (19225) ოთხშაბათი, 10 აპრილი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

ჩაის ფოთლის კრეფის წინ

შარშან, მეთერთმეტე ხუთწლედის მეოთხე წელს, დიდი ჩაისათვის ბრძოლის დღეები რთული და დაძაბული იყო. მაგრამ რესპუბლიკის სახელოვანმა მეჩაიეებმა, მიუხედავად უამინდობისა, რეკორდული მოსავალი მოიწიეს, მოკრიფეს და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩააბარეს 577 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს ვალდებულებით ნაკისრს 17 ათასი ტონით, ხოლო 1983 წელს დამზადებულ ნედლეულს 20 ათასი ტონით აღემატებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ რაოდენობასთან ერთად მნიშვნელოვნად გადიდდა პირველი ხარისხის ხვედრითი წილი მოკრეფილ ჩაის ფოთოლში.

ასე ყოველწლიურად იზრდება დასავლეთ საქართველოს მეჩაიეობის რეგიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სიმტკიცის ერთ-ერთი წამყვანი წყარო — ჩაის ფოთლის მოსავლიანობა. ჩაის კულტურა ერთობ შრომატევადია. იგი წლის ყოველ დროს სათუთ მოვლას, ენერგიულ გარჯას მოითხოვს, მაგრამ შრომასაც უხვად უნაზღაურებს. ეს თითქოსდა ანბანური ჭეშმარიტება ყველა მეჩაიემ, მეჩაიე-მექანიზატორმა კარგად იცის და ამინდის ყოველგვარ პირობებში თავს დასტრიალებს თავის მარჩენალს. შედეგსაც ამიტომ აღწევს.

წლევანდელი ლაშქრობა, სოციალისტური შეჯიბრება ვალდებულებით ნაკისრი 535 ათასი ტონა ჩაისათვის სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის მზადების ღირსშესანიშნავ თარიღებს ეძღვნება. რასაკვირველია, ეს დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს მეჩაიეობის რაიონების პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებს, საშუალო და უმაღლესი რგოლის ამ დარგის სპეციალისტებს, შრომისმოყვარე მეჩაიეებს, მექანიზატორებს, რათა ერთი წუთითაც არ შეანელონ ყურადღება მოსავლიანობისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდისადმი.

შარშან ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დამთავრების დღიდანვე დაიწყო მზადება წლევანდელი უხვი მოსავლისათვის. ნოემბერ-დეკემბერსა და იანვარში მეტად ხელსაყრელი ამინდები იდგა ჩაის პლანტაციების მწკრივთშორის ნიადაგის დასამუშავებლად, მინერალური სასუქების შესატანად, წყალსაწრეტი არხების გასაყვანად და სხვ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა მეჩაიეობის რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებები გააფრთხილა, რომ ზემოაღნიშნული დროის ხელსაყრელი ამინდები მაქსიმალურად გამოეყენებინათ ჩაის პლანტაციების მაღალხარისხოვანი მოვლა-დამუშავებისათვის.

თებერვლის პირველი რიცხვებიდან სუბტროპიკული ზონისათვის უჩვეულო თოვლმა და ყინვებმა, რომელიც მარტის შუა რიცხვებამდე გაგრძელდა, შეაფერხა ჩაის პლანტაციების მწკრივთშორისების დამუშავება, სასუქების შეტანა, მაგრამ იქ, სადაც პრინციპულობა, მკაცრი მომთხოვნელობა გამოიჩინეს წარმატებით წყდება ჩაის პლანტაციების აგროტექნიკურ ვადებში დამუშავების ღონისძიებები. ეს უპირველესად ითქმის მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის, წალენჯიხის, წყალტუბოს ზონის, ცხაკაიას, ლანჩხუთის, ხობის, სამტრედიის რაიონებზე. აქ დროულად ჩაატარეს მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა, მწკრივთშორის მიწის დაბარვა, ბუჩქების შპალერული გასხვლა და სხვა სამუშაოები.

საერთოდ, რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობების ჩაის პლანტაციებში შარშანდელთან შედარებით ჩამორჩენაა ზამთრისა და გაზაფხულის სამუშაოებში. ეს იმიტომაც, რომ მომთხოვნელობა და ბეჯითობა ყველგან როდი იქცა საქმიანობის ნორმად. ზოგიერთი რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებამ ვერ დარაზმა შრომითი რესურსები პლანტაციებში ნიადაგის დამუშავებისათვის, სასუქების შეტანისა და ბუჩქების გასხვლისათვის. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ოპერატიული მონაცემებით, პირველი აპრილის მდგომარეობით რესპუბლიკაში 60 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან დაბარული იყო 50 ათასი ჰექტარი, მინერალური სასუქები — ფოსფორი 40 ათასი ჰექტარიდან შეტანილია 34 ათას ჰექტარზე, კალიუმიანი სასუქი 45 ათასი ჰექტარიდან — 30 ათას ჰექტარზე. განსაკუთრებით ჩამორჩენაა ჩაის ბუჩქების სხვლაში. ეს სამუშაო 60 ათასი ჰექტარიდან მხოლოდ 24.200 ჰექტარზეა შესრულებული.

ჩაის პლანტაციებში მწკრივთშორის ნიადაგის დამუშავებაში ჩამორჩება ისეთი მოწინავე მეჩაიეობის რაიონიც კი, როგორიც არის ოჩამჩირე. აქ საგეგმო 5.150 ჰექტარიდან დღემდე ეს სამუშაო შესრულებულია 3.610 ჰექტარზე, გუდაუთაში — 598 ჰექტარიდან 172 ჰექტარზე, თერჯოლაში — 350 ჰექტარიდან 150 ჰექტარზე; ეს მაშინ, როდესაც თითქმის ერთსა და იმავე პირობებში მყოფი ჭიათურის ზონის მეჩაიეებს ბუჩქებშორის ნიადაგის დამუშავება 347 ჰექტარიდან შესრულებული აქვთ 310 ჰექტარზე. ზოზინის, გულარხეინობის გამოვლინებანი, რომლებსაც ნიღბავენ ხოლმე სიტყვებით „მერე მოვასწრებთო", მტკიცედ უნდა აღმოვფხვრათ. დასახელებული რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს განსაკუთრებული მუშაობა მართებთ ჩაის პლანტაციების ნიადაგის არა მარტო დაწქარებით დამუშავებაში, არამედ გასხვლის, აგრეთვე ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის შესახვედრად.

მართალია, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, გალის, გულრიფშის, ტყიბულის ზონის მეჩაიეებმა კარგად იმუშავეს ჩაის პლანტაციების მწკრივთშორისების დამუშავებაზე, მაგრამ საგრძნობლად ჩამორჩებიან ჩაის ბუჩქების გასხვლაში და აზოტიანი სასუქების პირველი დოზის შეტანაში. ეს იმიტომაც, რომ აქ დასახელებული რაიონების საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ამ სამუშაოების შესასრულებლად ამინდის ხელსაყრელი პირობები ხელიდან გაუშვეს, დრო ეფექტიანად ვერ გამოიყენეს.

მეჩაიეობის რაიონებში ყოველწლიურად იზრდება ჩაის ფოთლის მანქანებით კრეფა. 1984 წელს მობილური და მცირე მექანიზაციით მოიკრიფა 144 ათასი ტონა ხარისხოვანი ნედლეული, რაც წინა წელს მოკრეფილს დიდად აღემატება. წლეულს მეჩაიე-მექანიზატორებს ნაკისრი აქვთ შარშანდელზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი დაახვავონ. ეს კარგია, მაგრამ ცუდი ის გახლავთ, რომ დღემდე ჩამორჩენაა ჩაის ტექნიკის სეზონისათვის მომზადების საქმეში. 20 მარტისათვის მობილური ჩაის საკრეფი მანქანებიდან სამუშაოდ მზად იყო საერთო რაოდენობის 63 პროცენტი, მობილური სასხლავი მანქანების 93, ხელის სასხლავი აპარატების 77 და ხელის საკრეფი აპარატების 73 პროცენტი. ასეთი ვითარება სათადარიგო ნაწილების უქონლობასთან ერთად გამოწვეულია საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებით.

დიდთოვლიანობამ და ქარბუქმა განსაკუთრებით აჭარის, აფხაზეთის, გურიის რეგიონებში მეტ-ნაკლებად დააზიანა და წააქცია ელექტრობოძები, გაწყვიტა ელექტროდენის მავთულები, არადა, ჩაის პლანტაციებში მცირე მექანიზაცია უდენოდ ვერ იმუშავებს. ამიტომ საჭიროა სასწრაფოდ მივმართოთ ღონისძიებებს ელექტროხაზებისა და ელექტრობოძების აღსადგენად. ეს კი „საქენერგოს" სპეციალური სამსახურის მუშაკების დაძაბულ შრომას მოითხოვს, რათა ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებამდე უზრუნველყონ პლანტაციები ელექტროენერგიის შეუფერხებელი მიწოდებით.

სანიმუშო წესრიგი შრომაში დიდი რეზერვია და იგი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების, სახალხო კონტროლიორების ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს. თუ გვექნება საუცხოო ორგანიზებულობა და მტკიცე დისციპლინა, მაშინ უფრო ადვილად დავძლევთ ნაკლოვანებებს, ყოველმხრივ მომზადებული შევხვდებით ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებას. არც ის უნდა დაგვავიწყდეს რომ ჩაის ხარისხისათვის ბრძოლა წლეულს უფრო მკაცრი იქნება — მომხმარებელი ჩვენგან სურნელოვან ქართულ ჩაის მოითხოვს.

მალე გაიმართება მეჩაიეთა ტრადიციული თათბირი, რომელიც შეაჯამებს კრეფის სეზონის ორგანიზებული დაწყებისათვის გაწეულ მუშაობას. დაისახება ღონისძიებანი და მომავლის პერსპექტივები. ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები, მეჩაიე-მექანიზატორები იკისრებენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს, რათა დიდთოვლიანობით და ყინვებით დაზარალებული მეციტრუსეობის რაიონების ზარალის ნაწილობრივ ასანაზღაურებლად დაამზადონ რაც შეიძლება მეტი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, ვიდრე მათ ეს სოციალისტური ვალდებულებით იკისრეს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, ინტენსიფიკაციის გზით, ახალი რეზერვების ამოქმედებით, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობითა და ნოვატორული შრომით.

„წითელი შაბათობა" გვიხმობს

◆ **მოსკოვის** მოწინავე საწარმოთა პატრიოტულ თაოსნობას 20 აპრილს ვ. ი. ლენინის დაბადების 115 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს მშრომელები. შაბათობის მომწყობმა შტაბმა, რომელსაც საამქროს პარტბიუროს მდივანი ვ. ცერცვაძე უდგას სათავეში, შეადგინა სამუშაოების კონკრეტული გეგმა.

კომუნისტური შრომის ზეიმში 900-მდე მშრომელი დაიდებს წილს. აქედან უშუალოდ პროდუქციის გამოშვებას 700 კაცი მოემსახურება, დანარჩენები გაწმენდენ და კეთილმოაწყობენ საამქროს ტერიტორიას, დარგავენ ხეებსა და ბუჩქებს, შეაგროვებენ ჯართს.

შაბათობის მოწყობის გეგმის ერთი პუნქტი ითვალისწინებს იმას, რომ ძირითადი სამუშაოები შესრულდეს დაზოგილი ენერგორესურსებით.

19 აპრილს რუსთაველ მილმგლინავთა წილად ქვეყანა მიიღებს 250 ტონა ზეგეგმიით მილებს. მშვიდობის ფონდში გადაირიცხება 1500 მანეთი.

(„კომუნისტის" კორ.).

◆ **ცხინვალი.** („კომუნისტის" საკ. კორ. გ. თედეევი). ლენინური შაბათობის ღირსეულად მოწყობისათვის ნაყოფიერად შრომობენ და ემზადებიან ცხინვალის ტრიკოტაჟის საცვლის ფაბრიკაში. მთელი საწარმოს კოლექტივი ვ. ი. ლენინის დაბადების 115 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზეა. წარმატებით სრულდება ყოველდღიური დავალებები.

ამ დღისათვის კოლექტივს განზრახული აქვს შეასრულოს ოთხი თვის საწარმოო დავალება. შაბათობის დღეს მიაღწევენ მაღალ შრომით ნაყოფიერებას, იმუშავებენ მხოლოდ დაზოგილი ელექტროენერგიითა და ნათბობით. „წითელ შაბათობაზე" 980 კაცი გამოვა. გამოიმუშავებენ 30 ათასი მანეთის ტრიკოტაჟის ნაწარმს. 3 ათასი მანეთი გადაირიცხება მშვიდობის ფონდში. მუშათა ერთი ნაწილი ამ დღეს იმუშავებს ფაბრიკის ტერიტორიის კეთილმოწყობაზე, გამწვანდება მისი შემოგარენი, დაირგვება ყვავილები.

◆ **ხაშური.** (საკ. კორ. გ. ვაშაკიძე). საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკის შაბათობის მომწყობ შტაბში ყოველდღიურად შემოდის წინადადებები, რომლებშიც მშრომელები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს კომუნისტური შაბათობის ორგანიზებულად, უმაღლესი შრომისნაყოფიერების ნიშნით მოწყობის შესახებ.

წითელ შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 1910 კაცი. ხაშურელ ფეიქრებს განზრახული აქვთ გამოუშვან 100 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია — საფარდე ქსოვილი, მაქმანი, ფართო მოხმარების საქონელი.

მეთერთმეტე ხუთწლედის ფონდში ფეიქრები 5500 მანეთს გადარიცხავენ.

◆ **აბაშა.** (საკ. კორ. რ. რუსია). ქვეყნისა და რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა მშრომელების თაოსნობას ლენინური კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი აბაშის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმაც. მის წევრებს გადაწყვეტილი აქვთ ამ დღეს მაქსიმალური ნაყოფიერებით იშრომონ და 20 ათასი მანეთის ნაწარმი დაამზადონ. უშუალოდ სამუშაო ადგილებზე გაირჯება 220 მშრომელი, რომლებიც 18 ათას მეტრ ხამი ბამბის ქსოვილს მოქსოვენ, 60 კაცი კი საწარმოს ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის იმუშავებს.

აღსანიშნავია, რომ აბაშელი მქსოველები ამ დღეს მთლიანად დაზოგილი ელექტროენერგიით იმუშავებენ და ხუთწლედის ფონდში 550 მანეთს გადარიცხავენ.

ხუთწლედი: დამამთავრებელი წელი



„ჩარხმშენებელი" პრესტიჟული მარკაა

— ასე მიაჩნია თბილისის კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ჩარხსაშენებელი ქარხნის ახალგაზრდობას. 1800 კომკავშირელი მუშაობს წარმოების ძირითად უბნებზე, 14 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა ქარხნის კოლექტივის მოწინავეთა შორისაა, ისინი დიადი გამარჯვების 40 წლისთავისა და სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე დგანან. გამარჯვების სახელოვანი იუბილესათვის ახალგაზრდა ჩარხმშენებლებმა პირობა დადეს, რომ შეასრულებენ ნახევარი წლის პროგრამას. გეგმის დამატებით გამოუშვებენ რამდენიმე ლითონსაჭრელ ჩარხს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სახელმწიფო ხარისხის ნიშანი.

პირველი ხუთწლედის წლებში აშენებული ქარხანა, საბჭოთა საქართველოს იმ სამრეწველო საწარმოთა შორის იყო, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის ჩამოყალიბებაში. დიდი სამამულო ომის წლებში თბილისელი ჩარხმშენებლები წარმატებით ართმევდნენ თავს ფრონტისა და თავდაცვითი მრეწველობისათვის პროდუქციის წარმოებას. უკანასკნელ ხანს აქ განხორციელდა საწარმოს რეკონსტრუქციასთან და ტექნიკური განახლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

კიროველთა პროდუქცია მსოფლიოს ათობით ქვეყანაში იგზავნება.

სურათებზე: ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭოს წევრი, საამქრო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, მექანიკური საამქროს ოსტატი თეიმურაზ ჩივაძე ქარხანაში გამარჯვების 40 წლისთავისა და სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავად გაშლილი შრომითი მეტოქეობის მეწინავეთა შორისაა; თბილისის კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ჩარხსაშენებელი ქარხნის ექსპერიმენტულ საამქროში მიმდინარეობს პროგრამული მართვის ჩარხების აწყობა.

ს. ედიშერაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში და საქართველოს პროფსაბჭოში

ადგილობრივი საბჭოების საუკეთესო აღმასკომები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და რესპუბლიკის პროფსაბჭომ განიხილეს სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოების 1984 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXVI ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით, აქტიურად ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, დასახლებული პუნქტებისა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობაში, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში.

1984 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები მიენიჭათ ქალაქ წყალტუბოს ზონის სოფელ რიონის (თავმჯდომარე სანიტაშვილი), ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის (ცრელაშვილი) და მარნეულის რაიონის სოფელ შულავრის (რზაევი) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს.

მეორე ადგილები და მეორე ფულადი პრემიები მიენიჭათ ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინაულის (თავმჯდომარე ჩუბინიძე), დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთის (შაბურიშვილი), მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელხევის (მიქაბერიძე) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს.

მესამე პრემიები მიენიჭათ გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის (თავმჯდომარე ჯანჯიბუხაშვილი), წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯის (კაკაჩია) და მახარაძის რაიონის სოფელ ბახვის (ანდღულაძე) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოების აღმასკომებს შორის პირველი ადგილი, გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია მიენიჭათ სამტრედიის, მეორე ადგილი — ხაშურის, მესამე — ბოგდანოვკის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

ცნობად იქნა მიღებული, რომ ანალოგიური შეჯიბრების შედეგები შეაჯამეს აფხაზეთის, აჭარის ასს რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

აღინიშნა თერჯოლის რაიონის სოფელ ეწრის, ცხაკაიას რაიონის სოფელ ეკის, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის, ბორჯომის რაიონის სოფელ ტაბაწყურის, ლენტეხის რაიონის სოფელ ჩოლურის, წალკის რაიონის სოფელ ავრანლოს, ქალაქ ჭიათურის ზონის სოფელ ზოდის, ცაგერის რაიონის სოფელ წიფერჩის, მესტიის სადაბო და ონის საქალაქო საბჭოების აღმასკომების კარგი მუშაობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ დაავალეს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლებისათვის, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისა და შრომის დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის. (საქინფორმი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

1985 წლის 8 აპრილს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, გ. ვ. რომანოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი შეხვდნენ სამრეწველო გაერთიანებებისა და საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს. შეხვედრაზე განიხილეს მიმდინარე წლისა და მთელი ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულების გადაუდებელი საკითხები, აგრეთვე იმსჯელეს იმ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტის გზებსა და მეთოდებზე, რომლებიც ჩვენი საზოგადოების წინაშე დგას სკკპ XXVII ყრილობის წინ.

შეხვედრის გახსნისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ ქვეყანას პასუხსაგები პერიოდი დაუდგა. ეს არის დიდი საქმეებისა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების, მიღწეულის ღრმა ანალიზისა და რეალისტური შეფასების, იმ პრობლემებისა და დაბრკოლებების გამოვლენის დრო, რომლებიც ხელს გვიშლის წინსვლაში. ეს დრო აღსავსე უნდა იყოს დაძაბული შრომით და თამამი აზრით, ძალიჳდეს გასაქანს ადამიანთა ინიციატივასა და შემოქმედებას უფრო მაღალი სახალხო-სამეურნეო შედეგების მისაღწევად.

ახლა, როდესაც პარტიის XXVII ყრილობისათვის ვემზადებით, საჭიროა ავამაღლოთ ორგანიზებულობა მუშაობაში, მოვახმაროთ მთელი შემოქმედებითი ძალები და რეზერვები ეკონომიკური განვითარების ტემპის გაძლიერებას. მიმდინარე წლის დასაწყისი ბევრი რეგიონისათვის ძნელი გამოდგა: თავი იჩინა სხვადასხვაგვარმა მიზეზებმა — როგორც ობიექტურმა, ისე სუბიექტურმა. რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია მკაცრი ზამთარი, მაგრამ პირველი კვარტალის შედეგებს მნიშვნელოვანწილად დაასვა დაღი უთაურობამ, ბევრგან — გულარხეინობამ, ხოლო ზოგან — უპასუხისმგებლობამაც. ახლა მთავარია დავძლიოთ ჩამორჩენა, შევასრულოთ ყოველივე ის, რაც გეგმით გვაქვს დასახული. ამისათვის კი საჭიროა მტკიცედ გავზარდოთ კადრების პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, ორგანიზებულობა, გავაძლიეროთ დისციპლინა. უნდა გამოვიყენოთ გამოცდილება, რომელიც მოწინავე სამრეწველო საწარმოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, ბრიგადებს აქვთ შეძენილი მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევაში.

შეხვედრაზე გულახდილი სჯა-ბაასი გაიმართა ბევრი აქტუალური საკითხის გამო. აღინიშნა, რომ ეკონომიკური განვითარების მრავალი მიმართულების მიხედვით გარდამტეხი უნდა გახდეს მეთორმეტე ხუთწლედი. საჭიროა, თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა ქალაქად და სოფლად, რომლებიც თავიანთ ხუთწლიან გეგმებს ამუშავებენ, ამთავითვე ივარაუდონ ამ გეგმებში არსებული რეზერვები, გაითვალისწინონ ყოველივე, რაც აუცილებელია დასახულის რეალიზაციისათვის.

შეხვედრის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხს. ბევრი საწარმო უშვებს მორალურად მოძველებულ მანქანა-მოწყობილობას, სახალხო მოხმარების ისეთ საქონელს, რომელზეც არ არის მოთხოვნა. მაგრამ ეს როდი ახდენს გავლენას იმათ მდგომარეობაზე, ვინც ძველებურად მუშაობს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა განხორციელდეს ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა არსებითად გაუმჯობესდეს ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხი, რასაც უდიდესი სახალხო-სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

სამეურნეო მექანიზმისა და მართვის სრულყოფის ღონისძიებანი, თქვეს შეხვედრის მონაწილეებმა, უნდა წარვმართოთ შრომითი კოლექტივების აქტიურობისა და ინიციატივის ყოველმხრივი განვითარებისათვის. მთავარი მიმართულებების მიხედვით ცენტრალიზებული დაგეგმვის განმტკიცების პროცესში საჭიროა კვლავაც თანამიმდევრულად დავნერგოთ ნამდვილი სამეურნეო ანგარიში, გავაფართოოთ საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უფლებები, გავზარდოთ მათი პასუხისმგებლობა, ეკონომიკური დამოუკიდებლობა, აგრეთვე გავაძლიეროთ როგორც საერთოდ კოლექტივის, ისე ყოველი ცალკეული მუშაკის დაინტერესება საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევით.

სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებული დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლის ეფექტიანობისა და ურთიერთპასუხისმგებლობის ამაღლება.

თანამედროვე პირობებში იზრდება შრომითი კოლექტივის პირველადი უჯრედების — საწარმოო ბრიგადების როლი და მნიშვნელობა. საჭიროა ყველგან შევქმნათ საიმისო პირობები, რომ ბრიგადები ძალას იკრებდნენ, რომ ყოველ მათგანში სრულად გამოიყენებოდეს სამეურნეო ანგარიში, განუხრელად იზრდებოდეს შრომის ნაყოფიერება.

შეხვედრაზე სერიოზული სჯა-ბაასი გაიმართა იმის შესახებ, თუ როგორ დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, როგორ განვახორციელოთ უფრო სწრაფად ინტენსიფიკაციის რელსებზე გადასვლა. ამისათვის, აღნიშნეს გამოსულმა ამხანაგებმა, საჭიროა ნაკლები სახსრები ვხარჯოთ ახალი ქარხნების ასაშენებლად და კაპიტალური დაბანდების ძირითადი ნაწილი მოვახმაროთ მოქმედ საწარმოთა ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას, გავზარდოთ თანამედროვე დიდმწარმოებლური მოწყობილობის გამოშვება. უპირატესი ტემპით უნდა ვავითარებდეთ ჩარხმშენებლობას, ელექტრონიკას, ელექტროტექნიკას და ხელსაწყოთმშენებლობას.

მეურნეობრიობის სისტემა თანამედროვე პირობებში ისე უნდა ვაშენოთ, რომ თითოეული კოლექტივი, ყველა მშრომელი ისწრაფვოდეს სრულად გამოიყენოს თავისი უნარი და შესაძლებლობანი საზოგადოებრივ წარმოებაში, მისი ეფექტიანობის ზრდაში. ამ ამოცანებს მით უფრო წარმატებით გადავწყვეტთ, რაც უფრო აქტიურად წარმართავენ პარტიული ორგანიზაციები ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას მასებში, განავითარებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რაც უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება ერთმანეთს საწარმოო და სოციალური საკითხები, სახელმწიფოს, კოლექტივისა და პიროვნების ინტერესები.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ლ. ვ. რადიუკევიჩი, — მაგნიტოგორსკის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის დირექტორი; ვ. პ. კობაძე-ივანოვოს ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი; ვ. ვ. ბილეკი — საწარმოო გაერთიანება „ხარკოვის ტრაქტორის ქარხნის" გენერალური დირექტორი; ბ. ი. კოლესნიკოვი — ნოვოლიპეცკის სამთო-მეტალურგიული კომბინატის დირექტორი; ა. ა. პოკუსა — საწარმოო გაერთიანება „დნეპროპეტროვსკის კომბაინის ქარხნის" გენერალური დირექტორი; მ. პ. ბუდაევა — მოსკოვის სამკერვალო ფაბრიკა „კოსმოსის" დირექტორი; ა. ა. შუმსკი — სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობა „კაზმინსკის" თავმჯდომარე; ა. ი. დუბკო — გროდნოს ოლქის კოლმეურნეობა „პროგრესის" თავმჯდომარე; ვ. ს. ჩიჩეროვი — საწარმოო გაერთიანება ლენინგრადის ლითონის ქარხნის" ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადირი და სხვა ამხანაგები.

კინოხელოვნებას — თანამედროვე კინოინდუსტრია

ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფს არსებითი წვლილი შეაქვს სოციალისტური მხატვრული კულტურის განვითარებაში. ეკრანის ქართველ ოსტატთა საუკეთესო ნამუშევრებზე მაყურებელთა მადლიერი გამოხმაურება მოწმობს: ხელოვნების მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან, მისი ღრმა და მართლად წარმოსახვა უხსნის მას შემოქმედებითი მიღწევების, საყოველთაო-სახალხო აღიარების უტყუარ გზას. უკანასკნელი წლების მთელმა რიგმა ფილმებმა მაყურებელთა აუდიტორიის ყურადღება მიიპყრო ჩვენი საზოგადოების განვითარების პროცესების დამაჯერებელი ასახვით, სერიოზული პრობლემების დაყენებით, მაღალი პროფესიული დონით. უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში გადაღებულმა ოცდაათამდე მხატვრულმა, დოკუმენტურმა, მულტიპლიკაციურმა და სატელევიზიო კინოფილმმა საკავშირო და საერთაშორისო კინოდათვალიერებათა ჯილდოები დაიმსახურა.

ქართული კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარება ბევრად არის დამოკიდებული მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაზე. ამაზე იყო საუბარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. შევარდნაძისა და რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა შეხვედრაზე, რომელიც სტუდია „ქართულ ფილმში" გაიმართა. მასთან ერთად შეხვედრაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ანდრონიკაშვილი, გ. გაბუნია, გ. ენუქიძე, დ. ქართველიშვილი, ზ. ჩხეიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე.

ქართული კინოს განვითარების საარსებო საკითხები, აღინიშნა რესპუბლიკის სახკინოს თავმჯდომარის ა. დვალიშვილის, კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორის რ. ჩხეიძის, სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის დირექტორის ქ. ამირეჯიბის გამოსვლებში, რესპუბლიკის ხელმძღვანელთა, მთელი მისი პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში დგას.

ხორციელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება კინოსტუდია „ქართული ფილმის" მეორე საწარმოო ბაზის მშენებლობის შესახებ. მაგრამ, უკვე ახლა დღის წესრიგში დგება საკითხი იმის შესახებ, რომ რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები უფრო ენერგიულად და დაინტერესებით მონაწილეობდნენ კინოინდუსტრიის განვითარების ვრცელი პროგრამის რეალიზაციაში. ქართული კინემატოგრაფიის წარმატება, რომელსაც დღეს უზრუნველყოფს მისი ბევრი ნიჭიერი მუშაკის დიდი მეცადინეობა და შემოქმედებითი გამარჯვებანი, უნდა დაეგეს მტკიცე თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე.

კინოხელოვნება არ არსებობს განვითარებული კინოინდუსტრიის გარეშე. ამასთან, ეს არის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგიც, რომელსაც შეუძლია მოგვცეს მეტად დიდი ეკონომიკური უკუგება. კინოწარმოებაში დაბანდებული ყოველი მანეთი მომგებიანი უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით გადასაწყვეტია ზოგიერთი მომწიფებული ორგანიზაციულ-ეკონომიკური საკითხი. კერძოდ, უნდა გარდაიქმნას და განახლდეს, შეივსოს უახლესი აპარატურით სტუდიების საწარმოო ბაზა. კინოხელოვნების მხატვრულ შესაძლებლობებს ზღუდავს კინოფირის, გადასაღები კამერების, სხვა ტექნიკის არადამაკმაყოფილებელი ხარისხიც. კინოფირის ნაკლებობა ამცირებს ახალი ფილმების ტირაჟირების შესაძლებლობებს, გვაიძულებს გამოვიყენოთ გაცვეთილი კინოფირები. დადგმის თვალსაზრისით რთული ფილმების შექმნის სათანადო პირობებს ვერ უზრუნველყოფს ვერც მატერიალური სტიმულირების მოქმედი სისტემა.

კინოსტუდია „ქართული ფილმის" პირველი რიგი, რომელიც მწყობრში ჯერ კიდევ 1970 წელს ჩადგა, ახლა მაქსიმალურად არის დატვირთული და უკვე ველარ აკმაყოფილებს თანამედროვე კინოწარმოების სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებებს. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ რომ 19-20 მხატვრულ ფილმთან ერთად, რომლებსაც ყოველწლიურად უშვებს სტუდია „ქართული ფილმი" საზღვარგარეთის ფირმებიც სთავაზობენ ბევრ ერთობლივ დადგმას, ცხადი ხდება, თუ რაოდენ საჭიროა მეორე საწარმოო ბაზის ამოქმედება. უკვე 1986 წელს ხომ საფრანგეთის კინოსტუდია „პათე სინემასთან" ერთად მან უნდა გადაიღოს სამსერიიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი ვ. ჰიუგოს რომანის „ზღვის მაშვრალების" მიხედვით, ხოლო 1987 წლისათვის დაამთავროს ცხრასერიიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმის „დონ კიხოტის" გადაღება.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს ამ ფილმის რეკვიზიტისა და კოსტუმების გამოფენა, იყვნენ ფირის დამუშავების საამქროში, რომელიც კინოსტუდია „ქართული ფილმის" მეორე რიგის ერთ-ერთი მთავარი ობიექტია. ისინი გაეცნენ იმას, თუ როგორ მიმდინარეობს ასამოქმედებელ-გასამართავი სამუშაოები ამ საამქროში, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა მიმდინარე წლის სექტემბერში და მთლიანად უზრუნველყოფს რესპუბლიკის სტუდიებში გადაღებული მთელი მასალის დამუშავებას.

რიგშია მაღლივი შემოქმედებით-საწარმოო კორპუსის მშენებლობა, რომელშიც განლაგდება დირექცია, აგრეთვე პლეხანოვის პროსპექტზე ძველი სტუდიის ტერიტორიაზე ამჟამად მდებარე სამულტიპლიკაციო და სადუბლიაჟო გაერთიანებანი, კომბინირებულ გადაღებათა საამქრო, გადაღებათა მოსამზადებელი განყოფილება... გათვალისწინებულია სატრანსპორტო საამქროს, დამხმარე ნაგებობათა სპორტული კომპლექსის მშენებლობა. მომავლისათვის დასახულია ტონატელიეს, კინომსახიობის თეატრის რეკონსტრუქცია.

რთული, მაგრამ რეალური პროგრამაა. და კვლავ შეხვედრის დროს ხაზგასმით აღინიშნა: შესაბამისი სამინისტროები და უწყებები მოვალენი არიან მეტი წვლილი შეიტანონ ქართული კინოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში, უზრუნველყონ ამ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებათა უთუო შესრულება. (საქინფორმი).

ვ. ი. ლენინი კულტურის შესახებ

გამოვიდა კრებული „ვ. ი. ლენინი კულტურის შესახებ". ეს მეორე, შევსებული გამოცემაა. კრებულში შევიდა ამონაწერები ვ. ი. ლენინის ნაშრომებიდან, რომლებშიც განხილულია კულტურის ისტორიისა და თეორიის, სოციალისტური კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხები. წიგნში წარმოდგენილია აგრეთვე მასალები (დეკრეტები, დადგენილებანი, თანამედროვეთა მოგონებანი), რომლებიც ასახავენ ლენინის მრავალმხრივ მოღვაწეობას ჩვენს ქვეყანაში კულტურული მშენებლობის დარგში.

კრებული გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკდესი).

ა. ა. გრომიკო ავსტრიას ეწვევა

ავსტრიის რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ა. წ. მაისის შუა რიცხვებში ვენას ეწვევა, რათა მონაწილეობა მიიღოს ზეიმში, რომელიც ეძღვნება დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერის 30 წლისთავის გამო.



ჩვენი გამარჯვების სიდიადე

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ისტორიის თვალსაჩინო პოლიტიკურ მოვლენას აღნიშნავენ საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავს. საბჭოეთის ეს ისტორიული გმირობა ახლა განსაკუთრებულ ძალას იძენს: საბჭოთა კავშირი იყო და კვლავ იქნება მშვიდობისა და უშიშროების მთავარი გარანტია პლანეტის ყველა ხალხისათვის.

9 აპრილს მოსკოვში საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში გაიხსნა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს. კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები და ისტორიკოსები, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მეცნიერები, საერთაშორისო სამეცნიერო გაერთიანებათა წარმომადგენლები, მოაწყვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **ა. პ. ალექსანდროვმა**. შავი გრიგალივით გადაუარა ევროპას, აზიას, აფრიკას მეორე მსოფლიო ომმა, თქვა მან. ამ ომმა ადამიანებს არნახული ტანჯვა და უბედურება მოუტანა. დაიღუპა 50 მილიონზე მეტი კაცი, განადგურდა უდიდესი მატერიალური და კულტურული ღირებულებანი.

მეცნიერის წინადადებით კონფერენციის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ფაშისტურ დამპყრობლებთან ბრძოლაში დაღუპულთ.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავი, თქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, ინტერნაციონალური საერთაშორისო დღესასწაულია, რადგან მის მოპოვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოების ხალხებმა. გმირულად იბრძოდნენ ფაშისტ დამპყრობლებს მრავალი ქვეყნის სამხედრო შენაერთებისა და პარტიზანული რაზმების მებრძოლები, წინააღმდეგობის მოძრაობისა და ანტიფაშისტური იატაკქვეშეთის მონაწილენი. ჩვენ გულთბილად მივესალმებით ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, ლაოსის დელეგაციებს, რომლებიც ჩამოვიდნენ კონფერენციაზე, ჩვენ სიხარულით ვხვდებით აგრეთვე დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ფინეთის, ავსტრიის, ინდოეთის, საბერძნეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს.

ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებას, რომელიც წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **მ. ვ. ზიმიანინმა**.

დიდ სამამულო ომში და მშვიდობის დაცვისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა გაზეთ „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა აკადემიკოსმა **ვ. გ. აფანასიევმა**.

დიდი სამამულო ომი, თქვა მან, ყველაზე სისხლისმღვრელი, დამანგრეველი და ამავე დროს ყველაზე სამართლიანი ომი იყო იმ ომებს შორის, რომლებიც ოდესმე გადახდომია ჩვენს სამშობლოს. ამ ომში განსაკუთრებით მწვავედ იდგა მსოფლიოში პირველი მუშათა კლასის სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ომის კეთილშობილური მიზნები ხელს უწყობდა იმას, რომ სამშობლოს დასაცავად აღდგა მთელი საბჭოთა ხალხი. გამარჯვება შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ხალხისა და არმიის, ფრონტისა და ზურგის სათავეში იდგა კომუნისტთა სახელოვანი პარტია, ლენინის პარტია. ეს იყო მებრძოლი პარტია.

ჩვენს გამარჯვებას უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ეს არის კაპიტალიზმზე ჩვენი სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვება, სოციალიზმის ეკონომიკის გამარჯვება, მისი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის გამარჯვება, მისი სოციალისტური, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გამარჯვება. მან დასაბამი მისცა მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის შექმნას, რომელიც სულ უფრო მეტად ხდება თანამედროვეობის გადამწყვეტი ძალა. და მხოლოდ იმიტომ, რომ არის საბჭოთა კავშირი, არის სოციალისტური თანამეგობრობა, ევროპა აი უკვე 40 წელია მშვიდობიანად ცხოვრობს. საბჭოეთის გამარჯვებამ გამოიწვია მსოფლიო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობა. აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის ასზე მეტმა სახელმწიფომ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა დაინგრა.

მეორე მსოფლიო ომის ისტორია, მიმდინარეობა და შედეგები, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, ახლა მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის, ჩვენი იდეური მოწინააღმდეგის მხრივ უხეში ფალსიფიკაციის საგანია. ამასთან ისახავენ გარკვეულ მიზნებს: გაამართლონ იმპერიალიზმი, შენიღბონ მისი აგრესიული, მილიტარისტული არსი. ჩირქი მოსცხონ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, დააკნინონ მისი როლი ომში: გადასინჯონ ომის შედეგები, ძირი გამოუთხარონ ომისშემდგომი საზღვრების ურღვეობის პრინციპს, გააუარესონ სსრ კავშირის ურთიერთობა ზოგიერთ ქვეყანასთან მსოფლიოს ომის შემდგომი მოწყობის შესახებ იალტისა და პოტსდამის შეთანხმებების რევიზიის ან მათი სრული უარყოფის გზით.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირობის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ნათლად და სრულად წარმოაჩინა ომის დამთავრების შემდეგ გასულმა 40 წელმა. ამ წლებმა დაადასტურა, რომ შესაძლებელი და საჭიროა, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს, როცა საერთაშორისო ვითარება რეაქციული იმპერიალისტური წრეებისა და მათი მეთაურის — ამერიკის შეერთებული შტატების მიზეზით მკვეთრად გამწვავდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტის პლენუმზე აღინიშნა, რომ ჩვენ არ ვისწრაფვით მივაღწიოთ ცალმხრივ უპირატესობას შეერთებულ შტატებთან, ნატოს ქვეყნებთან შედარებით, სამხედრო უპირატესობას მათთან შედარებით. ჩვენ გვსურს დაგროვილი შეიარაღების ნამდვილი და დიდი შემცირება და არა ახალ-ახალი სისტემების იარაღის შექმნა, იქნება ეს კოსმოსში თუ დედამიწაზე.

იგივეს ვერ ვიტყვით ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვების შესახებ, მაშინ, როცა მათი წარმომადგენლები ჟენევაში მოლაპარაკების მაგიდას, თეთრი სახლი და პენტაგონი ახორციელებენ შეიარაღების და, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული შეიარაღების უპრეცედენტო პროგრამას.

ომის საფრთხე დღეს უფრო დიდია, ვიდრე ოდესმე, თქვა დასასრულ მომხსენებელმა, მაგრამ ომი ფატალურად აუცილებელი როდია. რადგან ჩამოყალიბდა და იზრდება მძლავრი ძალები, რომლებსაც უნარი შესწევთ დაიცვან მშვიდობა, განმტკიცდა მშვიდობისმოყვარე ძალების, ხალხის ფართო მასების მასობრივი მოძრაობა, რომლებიც სულ უფრო აქტიურად უძღვებიან მშვიდობის საქმეს.

ფაშისტური გერმანიის დამარცხებაში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გადამწყვეტ როლს მიუძღვნა თავისი მოხსენება სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, საბჭოთა კავშირის მარშალმა **ვ. ი. პეტროვმა**.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შემდეგ მეორე მსოფლიო ომში შეიარაღებული ბრძოლის მთავარმა ფრონტმა აღმოსავლეთში გადმოინაცვლა. აქ იყო თავმოყრილი ფაშისტური ბლოკის მთავარი დამკვრელი ძალები, აქ წყდებოდა ხალხების ბედი, ომისა და მშვიდობის ბედი.

მთელი მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობაში, აღნიშნა მომხსენებელმა, ძირეული გარდატეხა მიღწეულ იქნა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ჩვენმა სახელოვანმა გამარჯვებებმა ცხადყვეს საბჭოთა შეიარაღებული ძალების სრული უპირატესობა გერმანელ ფაშისტთა არმიასთან შედარებით, ჩვენი სამხედრო ხელოვნების ტრიუმფი. საბჭოთა სამხედრო სტრატეგიამ მთელი დამაჯერებლობით წარმოაჩინა ძლიერი და საშიში მტრის წინააღმდეგ ხანგრძლივი შეიარაღებული ბრძოლის პირობებში უნარიანი, მოქნილი ხელმძღვანელობის ბრწყინვალე მაგალითები.

სამხედრო-ტექნიკური თვალსაზრისით საბჭოთა არმიამ ცხადყო, რომ იგი მსოფლიოს საუკეთესო და ყველაზე ბრძოლისუნარიანი არმიაა. იბრძოდა რა მეორე მსოფლიო ომის მთავარ ფრონტზე ფაშისტურ სახელმწიფოთა ბლოკის ძირითადი ძალების წინააღმდეგ, მან გაანადგურა, დაატყვევა და მოსპო 607 დივიზია, მაშინ, როდესაც ინგლისელ-ამერიკელმა მოკავშირეებმა მთელი ომის განმავლობაში — მხოლოდ 176 დივიზია.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები, თქვა ორატორმა, ომიდან გამოვიდნენ გამოწრთობილნი, საბრძოლო შემადგენლობით გაცილებით უფრო გაზრდილნი და უდიდესი გამოცდილებით გამდიდრებულნი. მათ შეასრულეს თავიანთი ისტორიული მისია და მსოფლიოს მოევლინენ ძალად, რომელსაც ხელეწიფება კისერი წააწყვიტოს ნებისმიერ აგრესორს. ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა მრავალგზის ამრავლეს თავიანთი ძლიერება და მზად არიან დაიცვან სოციალიზმის მონაპოვარნი. ამჟამად ისინი მუდამ შემართულნი არიან მტრის მოსაგერიებლად, რაც იყო და არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც არ აბედვინებს მშვიდობის მტრებს სამხედრო პროვოკაციებს, ავანტიურებსა და ახალი ომის გაჩაღებას.

მოხსენება „საბჭოთა ზურგი დიდი სამამულო ომის წლებში“ გააკეთა სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა **ლ. მ. ვოლოდარსკიმ**. ფაშისტური გერმანიის მუხანათურმა თავდასხმამ, თქვა მან, მკვეთრად შეცვალა საბჭოთა ეკონომიკის წინაშე მდგომი ამოცანები. ამ მომენტიდან მოყოლებული მთელი ჩვენი ქვეყანა ერთიან სალაშქრო ბანაკად გადაიქცა. სახალხო მეურნეობის ყველა დარგი ერთ მწყობრად მუშაობდა გამარჯვებისათვის.

ზურგის მუშაობა დიდ სამამულო ომის წლებში ემყარებოდა სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის უპირატესობათა მკვიდრ საძირკველს. ომის პირველ თვეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საფრონტო და ფრონტისპირა რაიონებიდან დიდძალი ფასეულობის, მოწყობილობის გადატანას და მილიონობით ადამიანის გადაყვანას ათასობით კილომეტრზე ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში, რამაც შეგვაძლებინა უმოკლეს ვადაში გამოგვეშვა ფრონტისათვის უაღრესად საჭირო პროდუქცია, სულ 1941 წლის ივლის-დეკემბერში საფრთხეშექმნილი რაიონებიდან გადმოვიყვანეთ 2593 საწარმო.

1942 წლის შუა ხანებისათვის დამთავრდა სახალხო მეურნეობის გარდაქმნა სამხედრო ყაიდაზე. დაიწყო საბჭოთა სამხედრო ეკონომიკის განვითარების მეორე ეტაპი: აწყობილი სამხედრო მეურნეობის ზრდა. მრეწველობის მუშაობის ძირეული გარდატეხა, რომელიც ჯერ კიდევ 1942 წლის მეორე ნახევარში დაიწყო, დამკვიდრდა 1943 წელს. ომმა სოფლის მეურნეობის მუშაკთაგან მოითხოვა გმირული ძალისხმევა, რათა უზრუნველეყოთ ფრონტი და ზურგი საკმარისი რაოდენობის სურსათით, ხოლო მრეწველობა — ნედლეულით. გამარჯვებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობის ორგანიზაციას. საგრძნობი წვლილი შეიტანეს გამარჯვებაში მეცნიერებმა.

ზურგის მშრომელთა მასობრივი გმირობისა და თავდადების გამოხატულება იყო სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმები. ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა ომის პირველი დღეებიდანვე გააჩაღეს შეჯიბრება ლოზუნგით „იმუშავე შენს მაგივრად და ფრონტზე წასულის წილ!“ საბჭოთა ზურგის მილიონობით მშრომელი, თქვა დასასრულ ორატორმა, მთელ ძალ-ღონეს ახმარდა გამარჯვების საქმეს. მათ დამაჯერებლად დაუმტკიცეს მთელ მსოფლიოს, თუ რაოდენ სწორია ლენინის სიტყვები: „ომში იმარჯვებს ის, ვისაც მეტი რეზერვები ჰყავს, ძალის მეტი წყაროები აქვს, მეტი გამძლეობა აქვს ხალხის სიღრმეში“.

კომუნისტური პარტიის როგორც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის როლი — ამ თემას მიუძღვნა თავისი მოხსენება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა **ა. გ. ეგოროვმა**. გამარჯვებას, აღნიშნა მან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ ომამდე ჩაეყარა საფუძველი. მომხსენებელმა ვრცლად გაანალიზა პარტიის სტრატეგიული გეზი სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისა და დაცვისათვის, მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული დიდი სოციალური გარდაქმნები, გეგმაზომიერი ღონისძიებანი, რომლებსაც ომისწინა წლებში ახორციელებდნენ პარტია და მთავრობა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, მისი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის განსამტკიცებლად, გააშუქა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მრავალმხრივი მოღვაწეობა მასების აღსაზრდელად საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ყველაფერი იღონა, რათა გადაექცია ჩვენი ქვეყანა საბრძოლო ბანაკად, ორგანულად დაეკავშირა და გაეერთმთლიანა ფრონტი და ზურგი, შეიარაღებული ბრძოლა და ეკონომიკა, პოლიტიკა და იდეოლოგია.

საბჭოთის მეომართა და ზურგის მშრომელთა მასობრივი გმირობა, მათი მედგრობა და ვაჟკაცობა განასახიერებს საბჭოთა ადამიანის ზნეობრივ სიდიადეს. ფაშიზმი გავანადგურეთ არა მარტო იარაღის ძალით, არამედ აგრეთვე მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ძალით, პარტიის მიერ აღზრდილი მასების შეგნებით. პარტია ავითარებდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული, სამეურნეო-ადმინისტრაციული, სამეცნიერო, ინჟინერ-კონსტრუქტორთა კადრებს, „კულტურის“ მოღვაწეთა შემოქმედებითს ძალებს, ყოველმხრივ აწინაურებდა ჩვენს სამხედრო მეცნიერებას, რომელმაც ღრმად გამოხატა სოციალისტური წყობილების არსი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა დიდი სამამულო ომის წლებში მკაფიო მაგალითია იმისა, თუ როგორ ასრულებდა პარტია თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას. იგი თანამიმდევრულად წარმართავდა საბჭოთა ადამიანების განმათავისუფლებელ მისიას. ხალხთა ხსოვნაში საბჭოთა მეომარი დარჩა განმათავისუფლებელ მეომრად, რომელმაც დაამსხვრია ფაშისტური უღელი და მოუტანა მათ თავისუფალი ეროვნული და სოციალური განვითარების შესაძლებლობა.

მსოფლიოს ხალხებს, თქვა დასასრულ მომხსენებელმა, დღეს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი აღარ დაუშვან ახალი მსოფლიო ომი. აღვნიშნავთ რა ამ დღეებში საბჭოეთის დიადი გამარჯვების 40 წლისთავს, ჩვენ მოპოვებულ გამარჯვებას განვამტკიცებთ პლანეტის ყველა მკვიდრის მშვიდობისა და უშიშროების პოლიტიკით და ვკისრულობთ ვალდებულებას დავიცვათ კაცობრიობა ახალი მსოფლიო ომის საფრთხისაგან. იმპერიალისტური რეაქცია ამაოდ ცდილობს სამხედრო ძალის მეშვეობით თუ მისი გამოყენების მუქარით თავის სასარგებლოდ გადაწყვიტოს ისტორიული დავა სოციალიზმთან. ეს ცდები განწირულია.

შემდეგ კონფერენციაზე მუშაობას შეუდგნენ თემატიკური სექციები. საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეცნიერები თავიანთ მოხსენებებში განიხილავენ საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვების სხვადასხვა ასპექტს, მის საერთაშორისო მნიშვნელობას.

სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. ი. სავინკინი და პროპაგანდის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. გ. ზახაროვი.

ყურადღება: საინტერესო გამოცდილება

„გააკეთე თვითონ“

რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას სპეციალიზებული მაღაზიები „გააკეთე თვითონ“

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მაღაზია „ნორჩი ტექნიკოსის“ მუშაკებმა გამოიანგარიშეს: ყოველი მესამე პოტენციური მყიდველი, რომელიც მათთან შედის, ეკითხება გამყიდველს: აქვთ თუ არა თითბრის ფურცლები, ფანერა, მავთული, დიურალუმინის მილები... ესენი არიან ტექნიკური შემოქმედებით გატაცებული ადამიანები, რომლებიც სიამოვნებით ამზადებენ საოჯახო ნივთებს საკუთარი ხელით. რომელ მაღაზიას უნდა მიმართოს კაცმა, რომელსაც შინ რემონტის გასაკეთებლად დასჭირდა ხის ლარტყა, ხუთი კილოგრამი ცემენტი, ერთი კილოგრამი თაბაშირი?

— ყოველივე ამის შეძენაში მყიდველებს დაეხმარებიან მაღაზიები „გააკეთე თვითონ“, — თქვა რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნ. შარაშენიძემ. — ამ მიზნით ზოგიერთი მასალის შეძენა შეიძლება „ნორჩ ტექნიკოსში“ (ქ. თბილისი), მაღაზია „პიონერში“ (ქ. ქუთაისი). მაგრამ მათი ასორტიმენტი ძირითადად ნორჩი მყიდველებისათვის არის გათვალისწინებული. შემოქმედებისადმი მისწრაფებას კი მოზრდილი მოსახლეობაც იჩენს.

გადაწყვეტილება, შეიქმნას ასეთი მაღაზიები, მარტო მასალების, ნახევარფაბრიკატების, ინსტრუმენტების გაყიდვის ორგანიზაციას როდი ითვალისწინებს. მაღაზიების მოწყობილობის კომპლექტში შედის ჩარხები, რომლებზეც მყიდველები გამოცდილი კონსულტანტების ხელმძღვანელობით დაამუშავებენ მათთვის საჭირო დეტალს, აგრეთვე მიიღებენ საქმიან რჩევა-დარიგებას.

ამგვარი მაღაზიების შექმნა გათვალისწინებულია ჯერჯერობით ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, რუსთავში. ვაჭრობის ადგილობრივმა სამმართველოებმა უნდა გამონახონ „გააკეთე თვითონ“ მაღაზიების გახსნის შესაძლებლობანი — აშენონ ვაჭრობის ახალი ობიექტი ან ხელახლა აღჭურვონ უკვე არსებული. მაგრამ იბადება კითხვა: როგორ იქნება მოგვარებული ვაჭრობის ამ საწარმოთა მომარაგება? ერთგვარი გამოცდილება ამ დარგში შეძენილი აქვს „ნორჩ ტექნიკოსს“.

— ხის დამმუშავებელ საწარმოებში, ავეჯის ფაბრიკებში, ქარხნებში, რომლებიც უშვებენ პლასტმასისა და რკინაბეტონის ნაწარმს, — თქვა მაღაზიის დირექტორმა მ. მამულაძემ, — გროვდება დიდძალი ნარჩენები, რომლებიც სასურველი საქონელია მყიდველისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი უსარგებლოდ ყრია ფაბრიკა-ქარხნების ტერიტორიაზე. ხელშეკრულება დავუდეთ ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადს“. მისი ხელმძღვანელობა გამოგვიყოფს ტრანსპორტს ფანერის, თამასების, მერქან-ბურბუშელის ფილების ჩამონაჭრების გადასაზიდად. ლენინგრადის ქარხნებიდან „პოზიტრონიდან“ და „მეორეულფერადლითონიდან“ მაღაზია იღებს რადიოდეტალებს, თითბრისა და ალუმინის ფურცლებს, სპილენძის მავთულს. ამ დღეებში ვაპირებთ ხელშეკრულება დავუდოთ დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანას ორგანული მინის, სხვადასხვა კონფიგურაციის ალუმინის ფურცლების მიწოდების თაობაზე.

„გააკეთე თვითონ“ სპეციალიზებული მაღაზიების შექმნა უაღრესად საჭირო საქმეა.

(საქინფორმი).

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

9 აპრილი ■ საქდესი იუწყება

სსრ კავშირის კეთილი ნება

მ. ს. გორბაჩოვის საუბარი გაზეთ „პრავდის“ რედაქტორთან მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, საზღვარგარეთის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი აღნიშნავენ, რომ მ. ს. გორბაჩოვის საუბარი გაზეთ „პრავდის“ რედაქტორთან დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა კავშირის კეთილ ნებას, მის გულწრფელ მისწრაფებას პატიოსანი დიალოგისადმი და რეალისტურ გადაწყვეტათა ძიებას, რომლებიც დააცხრობდნენ დაძაბულობას მსოფლიოში, ხელს შეუწყობდნენ გამალებული შეიარაღების გზების გადაკეტვას. კომენტარებში ნათქვამია: ახლა არ შეიძლება ხელიდან გავუშვათ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებისა და ზოგადი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების არსებული შესაძლებლობანი. განსაკუთრებით უსვამენ ხაზს საბჭოთა კავშირის ახალი ინიციატივის უაღრეს მნიშვნელობასა და აქტუალურობას, რომელმაც წამოაყენა წინადადება, რომ სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოლაპარაკების მთელი პერიოდისათვის მორატორიუმი დაუწესონ დამკვრელი კოსმოსური ობიექტების შექმნის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, გამოცდასა და განლაგებას, გაყინონ თავიანთი სტრატეგიული შეტევითი შეიარაღება. წერენ, რომ სსრ კავშირმა, რომელმაც მორატორიუმი დაუწესა თავისი საშუალო სიშორის რაკეტების განლაგებას, შეაჩერა ევროპაში სხვა საპასუხო ღონისძიებათა განხორციელება, ცხადყო თავისი კეთილი ნება — მშვიდობის, გამალებული შეიარაღების ალაგმვის ნება.

ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ რთული საერთაშორისო ვითარებისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გორბაჩოვისეული შეფასება შეერთებული შტატების მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღების ცენტრშია. საბჭოთა ხელმძღვანელის საუბარი, იუწყება **ენ-ბი-სის ტელეკომპანია**, მოწმობს, რომ სსრ კავშირი დადებითად ეკიდება უმაღლესი დონის შეხვედრის მოწყობას. „საბჭოთა კავშირი გულახდილი და პატიოსანი დიალოგის მომხრეა და ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდებს ისე წარმართოს საქმე, რომ მთელ მსოფლიოს დაუმტკიცოს: ორი სახელმწიფო აპირებს არა მტრობას, არამედ ურთიერთგაგებისა და ურთიერთობის განვითარების გზების ძიებას“, — აღნიშნავს **სი-ბი-ესის ტელეკომპანია**. საბჭოთა ხელმძღვანელობას არ მიაჩნია, რომ კონფრონტაცია ლამის ბუნებრივი მდგომარეობა და მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობის თანდაყოლილი დეფექტი იყოს, წერს **„ნიუ-იორკ ტაიმსი“**. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ თავისი საშუალო სიშორის რაკეტების განლაგებაზე საბჭოთა კავშირის მიერ მორატორიუმის დაწესება და ევროპაში სხვა საპასუხო ღონისძიებათა განხორციელების შეჩერება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

ჟენევის მოლაპარაკებაზე ამერიკის დელეგაციის ყოფილმა მეთაურმა **პ. უორნკემ** აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება მოწმობს იმისათვის მზადყოფნის გამოვლინებას, რომ გადაიდგას გარკვეული ნაბიჯები ახლანდელი საერთაშორისო კლიმატის გაუმჯობესების გზაზე.

ვაშინგტონში გამოაცხადეს, რომ პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში რ. მაკფარლეინმა დასასვენებლად მყოფ პრეზიდენტ რ. რეიგანს გააცნო მ. ს. გორბაჩოვის საუბრის შინაარსი. შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას თეთრი სახლის წარმომადგენელმა სპიკსმა განაცხადა: „ჩვენ შევისწავლით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გამონათქვამებს და სრული გულისყურით მოვეკიდებით მათ“. ამავე დროს, სპიკსმა გაიმეორა უსაფუძვლო მტკიცებანი ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების მხრივ სსრ კავშირის ვითომდა არსებული „უპირატესობის“ შესახებ და კორესპონდენტებს აგრძნობინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია არ აპირებს მიბაძოს საბჭოთა კავშირის მაგალითს და შეაჩეროს თავისი საშუალო სიშორის რაკეტების განლაგება ევროპის კონტინენტზე. საბჭოთა კავშირის მიერ მორატორიუმის დაწესება, თქვა მან, „ამერიკის შეერთებულ შტატებს არ შეაცვლევინებს ევროპაში ფრთოსანი და „პერშინგ-2“ რაკეტების განლაგების გეგმებს, რომელთა განხორციელება გაგრძელდება“. ამით ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ ვაშინგტონი, რომელიც დათანხმდა მოლაპარაკებას შეიარაღების შემცირების შესახებ, სინამდვილეში ყოველნაირად ცდილობს მის შემდგომ გადიდებას.

ინგლისის **„ტაიმსი“** საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას ევროპაში თავისი საშუალო სიშორის რაკეტების განლაგებაზე მორატორიუმის დაწესების შესახებ უწოდებს „კეთილი ნების არსებით ჟესტს.“ მ. ს. გორბაჩოვის გამონათქვამები, წერს გაზეთი, დიდად შეაფასეს ბრიტანეთში, რომლის მთავრობაც აქტიურად ეძებს დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობის გაუმჯობესების გზებს. **„დეილი ტელეგრაფი“** აღნიშნავს საბჭოთა პოლიტიკის თანამიმდევრულობას ბირთვული არსენალების შემცირების საკითხებში. „მოსკოვმა აშკარად მოუწოდა თეთრ სახლს მიბაძოს საბჭოთა კავშირის მაგალითს და შეწყვიტოს რაკეტების განლაგება ევროპაში“, — წერს **„დეილი ექსპრესი“**.

ბრიტანეთის მთავრობამ, განაცხადა დიდი ბრიტანეთის ლიბერალური პარტიის ლიდერმა **სტილმა**, უნდა მოუწოდოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დადებითად გამოეხმაუროს საბჭოთა წინადადებას. ჩვენ უნდა მივაღწიოთ რაკეტების ყოველგვარი შემდგომი განლაგების უსწრაფეს ორმხრივ გაყინვას, რაც კარგ იმპულსს მიანიჭებდა ჟენევის მოლაპარაკებას.

საფრანგეთის ტელევიზია აღნიშნავს, რომ სსრ კავშირი პრინციპულ პოზიციას ადგას კარდინალურ საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში. „ანტენ-2“ ტელეპროგრამების კომენტატორმა ხაზგასმით აღნიშნა ახალი საბჭოთა ინიციატივების უაღრესად მნიშვნელოვანი და აქტუალური ხასიათი, ის ფაქტი, რომ სსრ კავშირმა თავისი საშუალო სიშორის რაკეტების განლაგებაზე მორატორიუმის დაწესებით გამოავლინა კეთილი ნება, მშვიდობის შენარჩუნების მტკიცე გადაწყვეტილება, და აღნიშნავს, რომ ახლა ჯერი შეერთებულ შტატებზეა, რომელიც განაგრძობს დასავლეთ ევროპაში თავისი „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტების განლაგებას.

მოსკოვის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, იუწყება **პორტუგალიის რადიო**, ახალი დასტურია იმისა, რომ მოსკოვი მტკიცედ ესწრაფვის უშიშროების დამკვიდრებას ჩვენს კონტინენტზე და მთელ მსოფლიოში. კეთილი ნების ამ მნიშვნელოვან ჟესტს იწონებს საერთაშორისო საზოგადოებრიობა, რომელსაც მიაჩნია, რომ დროა ვაშინგტონი გამალებული შეიარაღების შეზღუდვის საკითხებში სიტყვებიდან საქმეზე გადავიდეს და მოელის დადებით პასუხს საბჭოთა ინიციატივაზე.

იაპონიის **კიოდო ცუსინის** სააგენტო აღნიშნავს, რომ სსრ კავშირი განაგრძობს და აძლიერებს მშვიდობიან შეტევას, ამასთან სააგენტო საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა გაგებითა და მხარდაჭერით ეკიდება საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას მორატორიუმი დაუწესოს ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების განლაგებას, რომელიც ცხადყოფს საბჭოთა პოზიციის მოქნილობას.

საბჭოთა კავშირის ახალი სამშვიდობო ინიციატივები დამაჯერებლად ცხადყოფს სსრ კავშირის კეთილ ნებას და იმისათვის მზადყოფნას, რომ გადაიტანოს კონკრეტული პოლიტიკის, პრაქტიკული გადაწყვეტის სფეროში ზოგადი საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღებისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების არსებული შესაძლებლობანი, წერს ბულგარული **„რაბოტნიჩესკო დელო“**. გაზეთი წერს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, რომელსაც აქტიურად ახორციელებენ საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები, ითვალისწინებს იმას, რომ სწორედ მაგალითის, და არა იარაღის ძალით უნდა ვამტკიცებდეთ, თუ რომელი სჯობს ორი სისტემიდან.

ინგლისი

ანტიბირთვული მანიფესტაცია

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. „პური და არა ბომბები!“ „აიკრძალოს ბირთვული იარაღი!“, „არ გვინდა „ფრთოსანი. სიკვდილი!“ — ასეთი ლოზუნგებით მოულზუორთის სამხედრო-საჰაერო ბაზასთან გაიმართა ბრიტანეთის მშვიდობის მომხრეთა მასობრივი მანიფესტაცია. ათიათასობით ინგლისელმა მხარი დაუჭირა ქვეყნის წამყვანი ომის საწინააღმდეგო ორგანიზაციის — ბირთვული განიარაღების მოძრაობის მოწოდებას და მონაწილეობა მიიღო ამ გამოსვლაში.

მოულზუორთის ანტიბირთვული მანიფესტაციის გარდა, გამოსვლები მშვიდობის დასაცავად გაიმართა აგრეთვე დიდი ბრიტანეთის სხვა რაიონებში. მაგალითად, შოტლანდიის დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ ისეთ ქალაქებში, როგორიც არის გლაზგო, ედინბურგი, ჰამილტონი და დუმბარტონი, მოაწყო დემონსტრაციების სერია ტეტჩერის კაბინეტის იმ გეგმების პროტესტის ნიშნად, რომ აღჭურვოს ქვეყნის წყალქვეშა ფლოტი „ტრაიდენტის“ უახლესი რაკეტულ-ბირთვული სისტემებით.

სუდანის ამბები

ᲮᲐᲠᲗᲣᲛᲘ. სუდანის მთავარი სამხედრო სარდლობა განაგრძობს ინტენსიურ კონსულტაციებს ქვეყნის მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან ერთობლივი მოქმედების პროგრამის შემუშავებისა და დროებითი გარდამავალი მთავრობის შექმნის მიზნით. როგორც სახალხო შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ა. რ. სივარ ად-დაგაბმა განაცხადა, ეს მთავრობა იმოქმედებს საყოველთაო სახალხო არჩევნებამდე. მან პირობა დადო, რომ განახორციელებს ღონისძიებებს ეკონომიკის გასაჯანსაღებლად და შეუდგება ქვეყნის სამხრეთ ნაწილის პრობლემის გადაწყვეტას აჯანყებულებთან უშუალო მოლაპარაკების გზით.

ᲙᲐᲘᲠᲝ. აქ მიღებული ცნობებით, ხართუმში აღდგენილია სატელეფონო კავშირი. დედაქალაქის აეროპორტის მუშები და მოსამსახურეები სამუშაო ადგილებზე დაბრუნდნენ, მაგრამ თვით აეროპორტი წინანდებურად დაკეტილია ხელისუფალთა საგანგებო განკარგულებამდე. ციხეებიდან გამოუშვეს ათასამდე პოლიტიკური პატიმარი.

როგორც მენის სააგენტო იუწყება, 8 აპრილს სივარ ად-დაგაბი შეხვდა არაბული, აფრიკული და ევროპული ქვეყნების ელჩებს.

ჩილე

მხარი დაუჭირეს მოწოდებას

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ. ჩილეს დემოკრატიული ალიანსი, რომელიც სხვადასხვა მიმართულების მთელ რიგ პოლიტიკურ პარტიებს აერთიანებს, მიემხრო ქვეყნის მშრომელთა ეროვნული ხელმძღვანელი საბჭოს მოწოდებას, 11 აპრილს მოაწყოს „პროტესტისა და სიცოცხლის დაცვის დღე“.

სამხედრო ფაშისტური დიქტატურის რეპრესიული ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ 11 აპრილს გამოსვლების მოწყობას მხარი დაუჭირეს რეჟიმის მიერ კანონგარეშე გამოცხადებულმა სახალხო დემოკრატიულმა მოძრაობამ, რომელშიც შედიან კომუნისტები, სოციალისტები და ქვეყნის სხვა მემარცხენე ძალები.

ლიბანი

ვითარება მწვავდება

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. ლიბანში მკვეთრად მწვავდება ვითარება. პალესტინელთა აიან ალ-ჰილვისა და მიეჰ-მიეჰ ბანაკებს, რომლებიც ქვეყნის სამხრეთში მდებარეობს, გააფთრებით ესხმიან თავს მემარჯვენე ქრისტიანთა ექსტრემისტული შენაერთები, რომლებსაც მხარს უჭერენ ისრაელის შეიარაღებული ძალები. ისინი იყენებენ მძიმე არტილერიასა და რაკეტულ იარაღს, რის შედეგადაც პალესტინელებსა და ლიბანელებს შორის არის დიდი მსხვერპლი. საიდის რაიონიდან ლიბანის არმიის ძირითადი ძალების წასვლის შემდეგ მემარჯვენე ქრისტიანთა დაჯგუფებანი, თელ-ავივის სამხედრო მხარდაჭერით, უტევენ ამ ზონაში მდებარე პალესტინელთა ბანაკებს გასანადგურებლად.

ამჟამად საიდასა და მის გარეუბნებში თავი მოიყარა ასი ათასამდე ლტოლვილმა პალესტინელმა და ლიბანელმა. ისრაელის აგრესიული მოქმედების მიზანია მუსრი გაავლოს პალესტინელ მოსახლეობას იმ რაიონებში, რომლებიც ისრაელის საზღვარს ეკვრიან.

7 აპრილს დაძაბული ვითარება იყო ლიბანის დედაქალაქშიც. ბეირუთის აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორებად გამყოფ ხაზზე დროდადრო გაისმოდა სროლა, წყდებოდა კავშირი ქალაქის ამ ორ ნაწილს შორის.

ᲢᲣᲜᲘᲡᲘ. აქ დაიწყო არაბული ქვეყნების ლიგის საბჭოს საგანგებო სხდომა ლიგის წევრი სახელმწიფოების მუდმივ წარმომადგენელთა დონეზე. დღის წესრიგშია სამხრეთ ლიბანში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ისრაელის დანაშაულობათა საკითხი. სხდომის მონაწილეებმა შექმნეს რეზოლუციის პროექტის მოსამზადებელი სპეციალური კომისია.

პროპაგანდისტული მანევრი

ანუ რა იმალება პრეზიდენტ რეიგანის ეგრეთ წოდებული „სამშვიდობო გეგმის“ მიღმა

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის საღად მოაზროვნე წრეები პრეზიდენტ რ. რეიგანის ეგრეთ წოდებულ „სამშვიდობო გეგმას“ ცენტრალური ამერიკისათვის აფასებენ როგორც იმის ცდას, რომ შენიღბონ ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა ნიკარაგუის საშინაო საქმეებში.

ეს გეგმა ძალზე შორს არის იმისაგან, რომ ხელი შეუწყოს მშვიდობის მიღწევას ამ რეგიონის სახელმწიფოთა სუვერენული უფლებების პატივისცემის საფუძველზე. მასში არსებითად ჩამოყალიბებულია ღონისძიებები, რომელთა მიზანია აიძულონ ნიკარაგუის მთავრობა მიიღოს ულტიმატუმი, ერთი თვის წინათ ნიკარაგუელი კონტრრევოლუციონერების თავკაცებმა რომ წამოაყენეს. კერძოდ, რეიგანის გეგმაში აღნიშნულია, რომ ამერიკის კონგრესმა უნდა გამოყოს 14 მილიონი დოლარი, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მოქმედების პერიოდში თითქოს გამოყენებული იქნება „ჰუმანური“ დახმარებისათვის, რაც აუცილებელია კონტრრევოლუციური ძალების შესანარჩუნებლად და ნიკარაგუის კანონიერ მთავრობასთან მოლაპარაკებაში მათი მონაწილეობისათვის, რეიგანი სთავაზობს, რომ ორივე მეომარმა მხარემ გადადოს იარაღი და დათანხმდეს საერთაშორისო კონტროლით არჩევნების მოწყობის თაობაზე მოლაპარაკების გამართვას. პრეზიდენტმა თითქოს არ იცოდეს, რომ ამას წინათ ნიკარაგუაში საყოველთაო არჩევნები უკვე გაიმართა, და რომ ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის პლატფორმას არჩევნებში მხარი დაუჭირა ნიკარაგუელთა დიდმა უმრავლესობამ. ახლა რეიგანს სურს ამ არჩევნებს ხაზი გადაუსვას თავისი ჩარევითა და უხეში სამხედრო ზემოქმედებით.

დემოკრატმა კონგრესმენებმა რეიგანის ამ გეგმას ნიკარაგუის კონტრრევოლუციური ძალებისათვის ამერიკული სამხედრო დახმარების განახლების აშკარა შენიღბვა უწოდეს. წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ტ. ო'ნილმა თქვა, რომ ეს ადმინისტრაციის ბინძური ტრიუკია ამერიკელი ხალხის გასაბრიყვებლად. რა ჰუმანურ დახმარებაზეა ლაპარაკი, როცა ეს კაცისმკვლელებს ეხება, თქვა მან. პრეზიდენტი რეიგანი, დასძინა ო'ნილმა, არ მოისვენებს, სანამ ნიკარაგუაში ამერიკის ჯარებს არ გაგზავნის.

ᲛᲐᲜᲐᲒᲣᲐ. ნიკარაგუაში აღშფოთების ტალღა გამოიწვია რეიგანის ადმინისტრაციის თავხედურმა ულტიმატუმმა, რომელმაც რესპუბლიკის მთავრობას მოსთხოვა დაიწყოს „დიალოგი“ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაქირავებულ ბანდებთან, რომლებიც სისხლიან დანაშაულს სჩადიან ნიკარაგუის მიწა-წყალზე. ეროვნული ტელევიზიით გამოსვლისას ცნობილმა ნიკარაგუელმა ისტორიკოსმა არმანდო ამადორმა ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებას პროპაგანდისტული მანევრი უწოდა, რომლის მიღმა იმალება განზრახვა სისხლში ჩაახშონ სანდინისტური სახალხო რევოლუცია.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ. ბრაზილიის ეროვნული კონგრესის დეპუტატმა ჟუან ერმანმა განაცხადა, რომ პრეზიდენტ რეიგანის ეგრეთ წოდებული „სამშვიდობო გეგმა“ სხვა არაფერია, თუ არა იმის ცდა, რომ დაფაროს ნიკარაგუისა და მთელი ცენტრალური ამერიკის მიმართ შეერთებული შტატების პოლიტიკის აგრესიული არსი. ვაშინგტონი, რომელიც საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან მოითხოვს მკვეთრად გაუზარდონ დახმარება ნიკარაგუელ კონტრრევოლუციონერებს, ცდილობს შეერთებული შტატების და სხვა ქვეყნების საზოგადოებრიობის მოტყუებას. მაშინ, როცა ამერიკის პრეზიდენტი თავის ფარისევლურ მშვიდობისმოყვარეობაზე ლაპარაკობს, ჰონდურასში, პენტაგონის პლაცდარმად რომ აქციეს, ნიკარაგუაში შეჭრისათვის ემზადებიან, თქვა ერმანმა.

კარიკატურისტის კომენტარი

ა. კანდელაკის ნახატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობაში დემოკრატიული საწყისების შემდგომი განვითარების, მასებთან მათი კავშირის გაძლიერების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში, მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებაში, ორგანიზებულობის ამაღლებაში, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაში დეპუტატთა ფორმირებების როლის გააქტიურების შესახებ

ლინის განმტკიცებაზე, მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებაზე.

გააქტიურდა დეპუტატთა მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და საწარმოო ცხოვრებაში. ბევრი მათგანი ახალი შრომითი წამოწყებების ინიციატორი და შრომისა და საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისად მი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითის მიმცემია. სულ უფრო ქმედითი ხდება მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობა სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების ორგანიზაციაში, მატერიალური და შრომითი რესურსების ეკონომიის რეჟიმის დაცვისათვის ბრძოლაში, წარმოების რეზერვებისა და შესაძლებლობათა გამოვლენასა და ეფექტიანად გამოყენებაში.

ამაღლდა შრომითი კოლექტივების როლი საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში, შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, განსაკუთრებით შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის მიღების შემდეგ.

სულ უფრო ფართოდ ინერგება „ღია წერილის დღის", სოფლის ყრილობების ჩატარების პრაქტიკა. მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების მრავალმა ორგანომ დადებითი გამოცდილება შეიძინა. ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთეს რესპუბლიკის ქალაქებში შექმნილმა მიკრორაიონთა საბჭოებმა.

ამასთან ერთად რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ბევრი საბჭოს საქმიანობა ჯერ კიდევ სრუ-

...

არ იღებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღსაკვეთად და საჭირო მომთხოვნელობას არ იჩენს იმ სამეურნეო ხელმძღვანელთა მიმართ, რომელთაც ვერ უზრუნველყვეს სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება.

მთელი რიგი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არ იღვწიან მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის, სუსტად იყენებენ მისი პროპაგანდისათვის არსებულ შესაძლებლობებს.

ცალკეულ საბჭოებში სათანადო ყურადღება არ ეთმობა საჯაროობის გაფართოების შესახებ კონსტიტუციურ მოთხოვნათა დაცვას. ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში ნელა აღმოიფხვრება გაუბრალოება და ფორმალიზმი. სესიების მომზადებასა და საბჭოების მიერ განსახილველ წინადადებათა შემუშავებაში არასაკმარისად არიან ჩაბმული მუდმივი კომისიები. ზემდგომი ორგანოების და საბჭოებისა და მათი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ორგანიზაცია და კონტროლი დეპუტატთა . უფრო პასუხსაგებ მონაწილეობას საჭიროებს. ზოგიერთ აღმასრულებელ კომიტეტს პრაქტიკაში არა აქვს შემოღებული საბჭოების გადაწყვეტილებათა პროექტების მოსახლეობაში წინასწარი განხილვა, იშვიათად აწვდის ინფორმაციებს დეპუტატებს სესიებს შორის პერიოდში თავისი მუშაობის, ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების, დეპუტატთა მიერ სესიებზე გამოთქმულ წინადადებებსა და კრიტიკულ შენიშვნებზე რეაგირების შესახებ.

...

ისინი გახდნენ საბჭოებისა და მათი ორგანოების ერთგული თანაშემწენი გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად, საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში მაღალი

...

ლობლივ შესასრულებლად, სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისა და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 6 აპრილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გ. ს. გაჩეჩილაძის მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის გამო

...თავმჯდომარის დეპუტატ ზ. შ. მესხიშვილის ინფორმაცია დეპუტატ გ. ს. გაჩეჩილაძის მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა:

— უფრო სრულად განახორციელონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების შესახებ კანონებით მინიჭებული უფლებები საბინაო, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში; სესიებზე, აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე რეგულარულად მოისმინონ მოსახლეობის კომუნალური მომსახურების საკითხები;

— მიაღწიონ საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის გამოყოფილ კაპი-

...

მიმდინარე რემონტისათვის გამოყოფილი სახსრებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაფანტვა, მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება.

4. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ:

ძირფესვიანად გააუმჯობესოს მოსახლეობის კომუნალური მომსახურება, ქმედითი დახმარება გაუწიოს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს იმ სარემონტო-სამშენებლო და საექსპლოატაციო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში, რომლებიც იწევიან საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალური დანიშნულების ობიექტებს ექსპლოატაციასა და რემონტს.

5. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა გააძლიეროს კონტროლი კომუნალური სამსახურების საქმიანობასა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების მდგომარეობისადმი.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს საკითხი რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 6 აპრილი.

სასკოლო რეფორმა მოქმედებს

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმამ მუშაობის ახალი გზები და საშუალებები, ახალი ჰორიზონტები წარმოაჩინა რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის წინაშე. დღეს განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშა-სპეციალისტის აღზრდას, ესე იგი მოსწავლის პროფესიულ დაოსტატებას, მის იდეურ-პოლიტიკურ მომზადებას, მეცნიერების საფუძვლების მტკიცე ცოდნით შეიარაღებას. დღეს განსაკუთრებით საჭიროა ყოველმხრივ განათლებული მუშის აღზრდა, რომელიც არ

...

ნმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს, და ეს რომ ასეა, ნათლად დარწმუნდა ყველა ის მეცნიერი თუ პედაგოგი, შეგირდი თუ ოსტატი, ყველა სტუმრად წვეული, ვინც დაესწრო **საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთა მეორე რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებითს კონფერენციას**, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს მიეძღვნა.

კონფერენცია მოეწყო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ პროფტექგანათლების სახე-

...

სახლის ქიმების წუხრმილით

...

ლ. ჩიხიკვაძე.

ხელოვნების ამბები ══ გასტროლები

მაყვალა ქასრაშვილი: „თბილისის კონსერვატორიას უნდა ვუმადლოდე...“

5 აპრილს ვენის ეროვნულ ოპერის თეატრში დაიწყო საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტის, დიდი თეატრის სოლისტის მ. ქასრაშვილის გასტროლები. ამჟამად მომღერალი ასრულებს აიდას პარტიას ჯ. ვერდის ამავე სახელწოდების ოპერაში.

მაყვალა ქასრაშვილის საგასტროლო გამოსვლები საზღვარგარეთ ტრადიციული გახდა. იგი დიდი წარმატებით გამოსულა იტალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, ესპანეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მექსიკაში, ფინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, სადაც შეუსრულებია წამყვანი საოპერო პარტიები გამოჩენილ მომღერლებთან ერთად. შედარებით მოკლე ხნის მანძილზე — მისი პირველი საზღვარგარეთული ტურნე 1979 წელს გაიმართა, — მ. ქასრაშვილი მსოფლიო კლასის აღიარებული მომღერალი გახდა. აი, რას წერდნენ ლონდონის გაზეთები მას შემდეგ, რაც ქასრაშვილმა მოცარტის ოპერაში „ტიტუსის ლმობიერება“, ერთობ იშვიათად რომ იდგმება ხოლმე, იმღერა წამყვანი პარტია: „იგი გზნებით განასახიერებს ვიტელიას... ხშირად ქასრაშვილის დრამატიზმი უფრო დამაჯერებელია, ვიდრე მისი დიდი წინამორბედის, გამოჩენილი ჟანეტ ვეკერისა“ („გარდიანი“). „ქასრაშვილის სოპრანო ბრწყინვალე ინტერპრეტაციაა გზნებით ატანილი, იდუმალი ვიტელიასი. ჟანეტ ვეკერის მიერ შექმნილ სახესთან შედარებით ქასრაშვილის ვიტელია უფრო ეშმაკი, ამასთანავე უფრო დიადი და გარეგნულად უფრო დინჯია, ხოლო სიმღერა ცეცხლითა და ვნებით არის აღსავსე“ („დეილი ტელეგრაფი“).

აი, როგორი რეცენზია გამოაქვეყნა ფინეთის დედაქალაქის საღამოს გაზეთმა მ. ქასრაშვილის შარშანდელი გასტროლების შემდეგ: „ქვეყნად ბევრია კარგი და სახელოვანი მომღერალი, მაგრამ ძალზე იშვიათად გვინახავს ქასრაშვილისთანა მსახიობი. მისი ბრწყინვალე და ფერმადლიანი ლირიკულ-დრამატული სოპრანო აჯადოებს და ნუსხავს მსმენელს ისეთი ძალით, როგორიც მხოლოდ ჭეშმარიტად დიდ მსახიობს ხელეწიფება!“.

„მართლაცდა, ენით აუწერელია გრძნობა, რომელსაც აღგვიძრავს უბადლო საბჭოთა მომღერლის სიმღერა, — წერდა მადრიდის ერთ-ერთი გაზეთი ესპანეთის დედაქალაქში გამართული მ. ქასრაშვილის სოლო-კონცერტის შემდეგ. — და ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ მაყვალა ქასრაშვილი მ. დე ფალიას სიმღერების ესპანურ ეშხს გვაგრძნობინებს უფრო ღრმად და ფაქიზად, ვიდრე ეს თვით ესპანელებს ძალუძთ“.

დღეს მსოფლიოს საუკეთესო ოპერის თეატრები მომღერალს სთავაზობენ წამყვან პარტიებს — მისთვის საგანგებოდ დგამენ სპექტაკლებს, როგორც, მაგალითად, დადგეს ლონდონის — „კოვენტ-გარდენმა“ — მოცარტის „ტიტუსის ლმობიერება“ და ვერდის „ტრუბადური“, ჰელსინკისა და ვენის ოპერის თეატრებმა ვერდის „დონ კარლოსი“ და „აიდა“.

ავსტრიიდან დაბრუნების შემდეგ მ. ქასრაშვილი კონცერტებს გამართავს ინგლისსა და ჰოლანდიაში, ხოლო შემდეგ ჩამოვა თბილისში, სადაც შემოქმედებითი ანგარიშით წარდგება თბილისელებისა და თავისი მშობლიური ქუთაისის მშრომელთა წინაშე.

— სადაც უნდა ვიყო, — თქვა მაყვალა ქასრაშვილმა, — დაუოკებლად, ანდამატივით მიზიდავს ჩემი კერა, ჩემი საქართველო. და ყოველივეს, რასაც მივაღწიე, უნდა ვუმადლოდე ჩემს მშობლიურ თბილისის კონსერვატორიას, ჩემს პირველ ქუთაისელ პედაგოგებს, მომღერლად რომ მცნეს.

ქართული თეატრის კვირეული ლენინგრადში

ლენინგრადი. (საქინფორმის სპეც. კორ.). თუ არსებობს სიყვარული პირველი დანახვისთანავე, ეს სწორედ ასეთი შემთხვევაა. ლენინგრადელებს პირველსავე სპექტაკლზე შეუყვარდათ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრის ნიჭიერი კოლექტივი. თუმცა დასი მანამდე არ ყოფილა ნევისპირა ქალაქში, მაგრამ მისდამი დიდი ინტერესი უზრუნველყო თბილისის კინოსტუდიის საქვეყნოდ აღიარებამ. მისი მსახიობები დარწმუნდნენ, რომ ჩრდილოელი მაყურებლები ტემპერამენტით თითქმის არ ჩამოუვარდებიან სამხრეთელებს.

ანშლაგით დამთავრდა თბილისის თეატრის ლენინგრადის კვირეული, რომელსაც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი მიხეილ თუმანიშვილი. სტუმრებმა გასტროლებზე წარმოადგინეს ორი ნამუშევარი — მოლიერის „დონ ჟუანი“ და დავით კლდიაშვილის „ბაკულას ღორები“.

სპექტაკლები მიმდინარეობდა ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სასახლის სცენაზე. სასახლემდე ჯერ კიდევ ძალიან შორს — ნევის პროსპექტიდან კითხულობდნენ ადამიანები — ზედმეტი ბილეთი ხომ არა გაქვთ.

წლევანდელ სეზონში თეატრმა „მეგობრობამ“ უმასპინძლა ლენინგრადის წამყვან დასს — მ. გორკის სახელობის დიდ აკადემიურ დრამატულ თეატრს. თბილისელთა ახლანდელი ჩამოსვლა თითქოს „საპასუხო მეგობრული ვიზიტი“ გახდა. კოლეგებმა განიხილეს თავიანთი პროფესიული პრობლემები, ხელოვნების მუშაკთა სასახლეში დასი შეხვდა კრიტიკოსებს, ლენინგრადის თექვსმეტი თეატრის მსახიობებისათვის სტუმრებმა საზოგადოებრივი დათვალიერება მოაწყვეს.

სწორედ აქ ჩამოვართვი ინტერვიუ ყველაზე გამოცდილ მაყურებლებს — მსახიობსა და რეჟისორს.

— ამ კოლექტივში ყველაფერი გამსჭვალულია შემოქმედების სიხარულით, ასე მგონია — მიეცით თბილისელებს ტელეფონის წიგნი და მისი სცენაზე დადგმაც კი არ გაუჭირდებათ, ოსტატურად გაითამაშებენ და მაყურებლებს დაატკბობენ ხალასი იუმორით, — თქვა მ. გორკის სახელობის დიდი დრამატული თეატრის წამყვანმა ოსტატმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ოლეგ ბასილაშვილმა. — ჩვენ ვნახეთ რეჟისორისა და დასის სრული ერთიანობა, მიხეილ თუმანიშვილის უნარი — ბევრს მიაღწიოს მინიმალური გამომსახველობითი საშუალებებით, მთელი სისრულით წარმოაჩინოს თითოეული მსახიობის შესაძლებლობანი. გუშინდელი გმირი დღეს სცენაზე წარმოგვიდგება ნამდვილ სახასიათო როლში და ისე გარდაიქმნება, რომ ძნელია მისი ცნობა. ძალიან მომეწონა სპექტაკლი დავით კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით. ჩვენს თეატრში უკვე სამი სეზონია წარმატებით იდგმება მისი „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომელიც გიორგი ტოვსტონოგოვმა დადგა. სპექტაკლმა „ბაკულას ღორებმა“ გააფართოვა ლენინგრადელთა წარმოდგენა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის შემოქმედებაზე. დადგმა გხიბლავს გულმართლობით, თამაშის სტიქიით, ნამდვილი ქართული იუმორითა და ამასთან ნაღვლიანი ფიქრით ცხოვრებაზე.

საუბარს განაგრძობს ა. ა. ბრიანცევის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეჟისორი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ზინობი კოროგოდსკი.

— თუმანიშვილის თეატრის ძალა, — თქვა მან, — ის არის, რომ აღწევს შემოქმედებით მწვერვალს და ამავე დროს ინარჩუნებს სტუდიურობის სიხალასეს. ჩვენ, პრაქტიკოსებმა, სხვებზე უკეთ ვიცით, რაოდენ ძვირფასია ეს თვისება. თუ ამის შენარჩუნებას შეძლებს, თეატრი კიდევ ბევრს მიაღწევს თავის გზაზე.

თბილისელებმა შესანიშნავი საგაზაფხულო საჩუქარი მიართვეს ლენინგრადელებს.

პოეზია მეგობრობის დესპანია

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ ორი წლის წინათ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ბალყარულ ენაზეც გამოვიდა. მისი მთარგმნელია ცნობილი ბალყარი პოეტი სალიხ გურტუევი. ახლახან სალიხ გურტუევი თბილისში იყო და უფრო დაწვრილებით გააცნო „კომუნისტის“ კორესპონდენტს მის მიერ როგორც „ვეფხისტყაოსნის“, ასევე საერთოდ ქართული პოეზიის თარგმანზე მუშაობა.

— რუსთაველის პოემის თარგმნა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო, — თქვა ს. გურტუევმა, — თავიდან სურვილი გავანდე გრიგოლ აბაშიძეს, რომელიც მაშინ საქართველოს მწერალთა კავშირს ხელმძღვანელობდა, და ისიც დიდად დაინტერესდა ამ ჩანაფიქრით, გამომცა სოლომონ იორდანიშვილის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ პწკარედი, აგრეთვე ზაბოლოცკისა და ნუცუბიძისეული რუსული თარგმანები. ამ წიგნების დახმარებით და, საერთოდ, თქვენი ხალხისა და უბრწყინვალესი პოეზიის სიყვარულით შევუდექი საქმეს და თითქმის ათი წელი მოვანდომე პოემის თარგმნას. 1982 წელს „ვეფხისტყაოსანი“ ნალჩიკში გამოვიდა და ჩემი ხალხი დიდი ინტერესით გაეცნო რუსთაველის პოემას. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მადლობა მოვახსენო პროფესორ იოსებ მეგრელიძეს, რომლის კონსულტაციები რუსთაველის ეპოქაზე ძალზე სასარგებლო იყო ჩემთვის თარგმანზე მუშაობის დროს.

ბუნებრივია, „ვეფხისტყაოსანთან“ მიახლოებას ასე ერთბაშად ვერ გავბედავდი. მანამდე სიმონ ჩიქოვანის, გიორგი ლეონიძის ლექსები ვთარგმნე, მოგვიანებით კი გრიგოლ აბაშიძისა და შოთა ნიშნიანიძის პოეზია.

— ახლა მომელის რთული და ამავე დროს საინტერესო სამუშაო, — თქვა დასასრულ სალიხ გურტუევმა, — ეს არის გურამიშვილის „დავითიანი“. პოემის პირველი თავები უკვე გამოვაქვეყნე და, როგორც ამბობენ, ურიგოდ არ უნდა იყოს შესრულებული... მჯერა, რომ ეს თარგმანები კიდევ უფრო დააახლოებს ორ მოძმე ერს და მიხარია, რომ ამ საქმეში ჩემი მოკრძალებული წვლილიც იქნება.

თქვენ ისევ ლამაზნი ბრძანდებით

უჩვეულო ამ საღამოს ერთადერთი ის გახლდათ, რომ შეხვედრაზე მოწვეულ სამამულო ომის მონაწილეთა შორის იყვნენ მხოლოდ... ქალები. შეხვედრაც ქალებმა მოაწყვეს, უფრო სწორად — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციამ ახლად გახსნილ თბილისის ჟურნალისტთა სახლში.

ყვავილებით დამშვენებულ მაგიდებს უსხედან ომგადახდილი მანდილოსნები: გულნარა ჩადუნელი, მარიამ ზოლოაშვილი, ეფემია ურთქმელიძე, ქეთევან ამაშუკელი, თამარ ჩაჩანიძე, ამალია ასატუროვა, ანა დავრანოვა, გალინა ჯაში, თამარ გოთუა, რუსუდან ლეკბორაშვილი. შეუძლებელია აუღელვებლად მოუსმინო მათ ნაამბობს საბრძოლო წარსულის შესახებ.

სტუმრებს გულწრფელი მადლობის სიტყვითა და ლექსით მიმართავს ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი, ნაომარ ქალთა დამსახურებაზე ლაპარაკობს რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი ეთერ ჯაფარიძე, სტუმართა პატივსაცემად მღერის ვოკალურ-ინსტრუმენტული კვარტეტი „თაიგული“... საღამოს უძღვება რედაქციის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ლია კაკაბაძე. იგი ვრცლად ახასიათებს თითოეულ მონაწილეს.

ვეტერან ქალთა მოსალოცად მოვიდნენ ხელოვნების მუშაკები: რესპუბლიკის სახალხო არტისტი ზინა კვერენჩხილაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ელენე საყვარელიძე, დამანა მდივნიშვილი, საკუთარ ლექსებს კითხულობენ პოეტები მედეა კახიძე, ცირა ქიტიაშვილი.

გარდასულ დღეთა გახსენებას სევდაც ახლავს. შეხვედრის მონაწილენი ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით პატივს მიაგებენ დაღუპულთა ხსოვნას. შემდეგ კვლავ ისმის ლექსი და სიმღერა.

სტუმრებს სიტყვით მიმართა რედაქციის კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილების გამგემ ნანული ცაგარეიშვილმა:

სილამაზე წარმავალიაო, ამბობენ, მაგრამ თქვენ, ძვირფასო ომგადახდილო ქალებო, თქვენი გმირული პატრიოტული წარსულით დღესაც ლამაზნი ბრძანდებით, სულით ლამაზნი.

ზ. რცხილაძე,
თბილისის ჟურნალისტთა სახლის დირექტორი.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი
„გაზაფხულის ფერიები“
ს. კილაძის ფოტო.

ოჯახური პორტრეტის შტრიხები

ყარამან ბერიანიძემ გორის საშუალო სკოლა დაამთავრა და თბილისში სამშენებლო ტექნიკუმში განაგრძო სწავლა, შემდეგ სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და მშობლებმაც მადლობის ბარათებს იღებდნენ ნაწილის მეთაურისაგან.

დაბრუნდა თუ არა, მშობლიური სოფლის, ზედდულეთის კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. იმხანად დაოჯახდა კიდეც.

ახლა საოჯახო ანკეტას გადავხედოთ:

ყარამან ბერიანიძე — 29 წლის, საშუალო სპეციალური განათლებით, გორის რაიონის ზედდულეთის კოლმეურნეობის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე;

ლელა ბერიანიძე — 25 წლის, საშუალო სპეციალური განათლებით, დიასახლისი;

შვილები: გაგა — 8 წლის, პირველკლასელი; ლაშა — 6 წლის, საბავშვო ბაღის აღსაზრდელი; კობა — 4 წლის; გიორგი — 2 წლის; ივანე — ხუთი თვის; რევაზ ყარამანის ძე ბერიანიძე — ისიც... ხუთი თვისა...

— ოთხი ვაჟიშვილის შემდეგ ტყუპი შეგვეძინა — ამბობს ლელა, ერთბაშად რვასულიანი ოჯახი გავხდით.

ბედნიერება თუ გინდა, ეგაა!...

— ტყუპებს ივანე და რევაზი დავარქვით, პაპების სახელები, — განაგრძობს ყარამანი, — არ მჯეროდა, რომ უკვე ექვსი ვაჟიშვილის მამა ვიყავი, სიზმარში მეგონა თავი...

შემდეგ?

შემდეგ ძეობა, სადღეგრძელოები, საჩუქრები, მილოცვები და სიამტკბილობა.

სიხარული და სიამტკბილობა იმთავითვე დაებედა ლელა და ყარამან ბერიანიძეების ოჯახს, რომელიც ექვს ვაჟიშვილს ზრდის და იმედიანად გასცქერის მომავალს.

ზედდულეთის კოლმეურნეობა, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის გორის რაიკომი, გორის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებენ მრავალშვილიან ოჯახს. ასეთია საბჭოური ცხოვრების წესი.

რაც კეთილ საქმედ წაადგება ხალხსა და მამულს ხომ ყველას საერთო სიხარულია!

„კომუნისტის“ საკ. კორ.

სატურნირო ორბიტა

ბალახის ჰოკეი. ბუენოს-აირესში დამთავრდა ქალთა გუნდებს შორის საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება. ამ ასპარეზობის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და არგენტინის ნაკრები კოლექტივები. ეს შეხვედრა მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 3:2 და დაეუფლნენ თასს.

მაგიდის ჩოგბურთი. შვეციის ქალაქ გეტებორგში დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ქალთა ერთეულებს შორის გაიმარჯვა ჩინელმა ცაო იანხუამ, ვაჟებში — მისმა თანამემამულემ ძიან ძიალიანმა. ჩინელი სპორტსმენები უძლიერესნი იყვნენ ქალთა და შერეულ წყვილთა ასპარეზობაშიც. ვაჟთა წყვილებს შორის გაიმარჯვეს მიქაელ აპელგრენმა და ულფ კარლსონმა.

რეგბი. გუშინწინ თბილისში დამთავრდა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის საწყისი ეტაპის მატჩები. გთავაზობთ ამ ეტაპის ბოლო, მეხუთე ტურის შეხვედრების შედეგებს: ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი (მოსკოვის ოლქი)-კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროი“ — 34:12, მოსკოვის „სლავა“-ალმა-ათის ასკ — 15:13, თბილისის „ლოკომოტივი“-მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 3:6. თბილისის ტურში სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდმა 15 ქულა (მაქსიმუმი) დააგროვა. „სლავას“ 13 ქულა აქვს, მოსკოვის „ლოკომოტივს“ — 9, „ექსკავატორტიაჟსტროის“ — 8, თბილისის „ლოკომოტივსა“ და ალმა-ათის ასკ-ს — 7-7. ახალი დებულებისამებრ, წლევანდელ ჩემპიონატში ფრეები არ ჩაითვლება. გამარჯვებული ვლინდება საჯარიმო დარტყმების სერიის შემდეგ. წარმატების შემთხვევაში გუნდი იღებს 2 ქულას, ხოლო ძირითად დროში გამარჯვებისათვის — 3 ქულას. წაგებულ მხარეს ორივე შემთხვევაში ერიცხება ერთი ქულა. ლვოვში კი გუშინ დამთავრდა საწყისი ეტაპის ბოლო ტურის მატჩები.

თავისუფალი ჭიდაობა. ბულგარეთის ქალაქ პერნიკში გამართულ ახალგაზრდათა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ქართველმა სპორტსმენმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა თამაზ ინდუაშვილმა (90 კგ) ყველა შეხვედრა მოიგო და პირველ ადგილს დაეუფლა. ყარაგანდაში გამართულ დინამოელ მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაზე კი თავი ისახელა თბილისელმა გოჩა გაბოძემ. იგი უძლიერესი იყო 68-კგ-მდე წონით კატეგორიაში.

კლასიკური ჭიდაობა. ქალაქ გროდნოში დამთავრდა პროფკავშირების მოზარდ სპორტსმენთა (1967-1968 წლებში დაბადებულთა შორის) საკავშირო ასპარეზობა. ამ შეჯიბრებაზე სხვებთან ერთად წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმაც. პირველი ადგილი მოიპოვა თბილისელმა ზურაბ სამხარაძემ (75 კგ), მეორე ადგილებზე გამოვიდნენ რუსთაველი ზაზა ხუციშვილი (65 კგ) და სამტრედიელი გიგა ჯულაყიძე (48 კგ). სამივე პრიზიორი სპორტსაზოგადოება „განთიადის“ წარმომადგენელია. სპორტსაზოგადოება „ქარიშხალას“ წევრმა, თბილისელმა როინ დობორჯგინიძემ (60 კგ) მესამე ადგილი დაიკავა.

ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში მონაწილეობის საგზურს დაეუფლა ურუგვაის ნაკრები, რომელმაც სამხრეთ ამერიკის მეორე შესარჩევ ჯგუფში დაიკავა I ადგილი. აფრიკის ზონაში კი გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის რამდენიმე შესარჩევი მატჩი: მაროკოელებმა დაამარცხეს მალაველები (2:0), ზამბიელებმა — კამერუნელები (4:1), სპილოს ძვლის ნაპირის ნაკრებმა კი ფრედ (0:0) ითამაშა განელებთან. ევროპის მეოთხე ჯგუფში ბულგარელებმა შესარჩევი მატჩი მოუგეს გდრ-ის ნაკრებს (1:0). ამ ჯგუფში მოასპარეზეებს გამართული აქვთ 4-4 შეხვედრა და აქ ერთპიროვნულად ლიდერობენ ფრანგები — 7 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან იუგოსლავები — 6 ქულა, ბულგარელები — 5, გერმანელები — 2 და ლუქსემბურგელები — 0 ქულა.

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები. გთავაზობთ რამდენიმე შედეგს: დონეცკის „შახტიორი“-კიევის „დინამო“ — 1:2, მინსკის „დინამო“ — „ყაირათი“ — 1:1, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ — ხარკოვის „მეტალისტი“ — 1:0.

კურორტი და დამსვენებელი

ამთავითვე ვიზრუნოთ

„კომუნისტის“ რეიდი

ზამთარი უკვე გააცილეს ბორჯომელებმა. ახლა თუმცა დათბა და გაზაფხულის სუნთქვა ძალუმად იგრძნობა, ახლომახლო გორაკებზე ალაგ-ალაგ ჯერაც თოვლია შემორჩენილი.

ცოტა ხანიც, და თვალწარმტაცი ხეობა კვლავ აივსება დამსვენებლებით — ჩამოვლენ საბავშვო ბაღების აღსაზრდელები, მოსწავლეები, აგიზგიზდება პიონერული კოცონი, პანსიონატები და სანატორიუმები დამსვენებელთა მორიგ ნაკადს მიიღებენ, დაიწყება ინტენსიური საკურორტო სეზონი.

ღრმა და ხანგრძლივმა ზამთარმა თავისი კვალი დაატყო საქალაქო მეურნეობას, ჯანმრთელობის კერების ცხოვრებას, იყო ერთგვარი სიძნელეები, მაგრამ არ ყოფილა არავითარი საგანგებო შემთხვევა, დამსვენებელთა საჩივრები.

თუმცა ეს არ არის ახლა მთავარი. მთავარია საგაზაფხულო საკურორტო სეზონისათვის სრული მზადყოფნა. როგორ ემზადებიან სამისოდ ბორჯომელები?

საბაზო სანატორიუმი „ლიკანი“. აქ ერთდროულად 1100 კაცი მკურნალობს საჭმლის მომნელებელი ორგანოებისა და ნივთიერებათა ცვლის დაავადებებს. სანატორიუმს გამოცდილი სპეციალისტები ხელმძღვანელობენ (მთავარი ექიმი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ე. დვალიშვილი), კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი კი ყველა პირობას უქმნის აქ მოსულთ საიმედო მკურნალობისა და შინაარსიანი დასვენებისათვის.

ზამთარმა ლიკანელებსაც ბევრი საზრუნავი დაუტოვა. ეს იმ სამუშაო გეგმებიდანაც ჩანს, რომელიც აქ შეუმუშავებიათ მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად, საკურორტო საზაფხულო სეზონის შეხვედრისათვის.

ამ სამუშაოებიდან ყველაზე საშურია ბალნეოსამკურნალოსა და კინო-საკონცერტო შენობების სახურავის რემონტი, დროულად უნდა დამთავრდეს ბალნეოსამკურნალოს საბაზანოს რეკონსტრუქციის სამუშაოები, პირველი, მეორე და მესამე საძინებელ კორპუსებში საჭიროა სასწრაფო მიმდინარე რემონტი. ამ ზამთარს 31 საძინებელი ოთახი დაზიანდა, მწყობრიდან გამოვიდა ცხელი და ცივი წყლის მილგაყვანილობა ბალნეოსამკურნალოში, ეს ყველაფერი აღსადგენი და წესრიგში მოსაყვანია.

სამწუხაროდ, ის სარემონტო სამუშაოები, რომლებიც ახლა მიმდინარეობს, უხარისხოდ სრულდება. მაგალითად, მეორე საძინებელ კორპუსში თებერვლის ბოლოს საშხაპეები გადასცეს საექსპლოატაციოდ, მუშაობით კი დღემდე არ ამუშავებულა.

საბაზო სანატორიუმი „ლიკანი“ მეტი ყურადღებისა და მზრუნველობის ღირსია, იგი პოპულარულია რესპუბლიკაშიც და მის ფარგლებს გარეთაც. მაგრამ მიუტევებელია ის ჩრდილები, ამ მზიანი სანატორიუმის ცხოვრებას რომ ახლავს თან.

დავიწყოთ იმით, რომ სანატორიუმი შემოსაღობია. ახლომახლო მოსახლეთა შინაური პირუტყვი და ფრინველი დადის და აოხრებს მწვანე ნარგავებს, ყვავილნარებს, გაზონებს, აზიანებს მცირე არქიტექტურულ ფორმებს. უფრო უარესი: სანატორიუმის ტერიტორიაზე დაიდო ბინა ავტოსატრანსპორტო პარკმა. პარკში 100-ზე მეტი მანქანაა. სხვას რომ თავი დავანებოთ, მანქანის გამონაბოლქვი სწორედ იმ ავადმყოფობებს აჩენს, რომელთა სამკურნალოდაც აქ შორეული კუთხეებიდან ჩამოდიან. ვერც სანიტარიულ, ვერც ტექნიკურ და ვერც ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებს ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს აქ გამეფებული განუკითხაობა. ავტომეურნეობიდან 5-10 მეტრ რადიუსში მდებარეობს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, საბავშვო ბაგა-ბაღი, სანატორიუმის საძინებელი კორპუსი, ბენზინსაცავი... ამ რამდენიმე წლის წინათ სწორედ ხანძარსაწინააღმდეგო წესების უხეშმა დარღვევამ კინაღამ შეიწირა ორი ბავშვი. ნუთუ ცოტაა ეს იმისათვის, რომ ზემდგომი ორგანოები დააფიქროს და გადააწყვეტინოს ავტომეურნეობის სანატორიუმის ეზოდან გატანა?!

ზოგჯერ ბუნებისაგან ბოძებულ სიმშვენიერეს არ ვჯერდებით, უკეთესის შექმნას ვაპირებთ და არაფრის წინაშე უკან არ ვიხევთ, თოთხმეტსართულიანი სანატორიუმის „მთის ხეობის“ (მთავარი ექიმი გ. თხინვალელი) ძვირად ღირებული „ზამთრის ბაღი“, რომელიც 2000 კვადრატულ მეტრ ფართობს დაიკავებს (მშენებელი — „საქკურორტმშენის“ ბორჯომის სამონტაჟო-სამშენებლო სამმართველო), იმ წალკოტის იმიტაციად გვეჩვენება, რომელშიც ეს სანატორიუმი მდებარეობს. ბუნების სიმშვენიერეს გაფრთხილება უნდა, სანატორიუმის შემოგარენი კი გაუვერანებულია, გასაწმენდია ტერიტორია, შესაღებია სკამები. კვების ბლოკის მეორე რიგის მშენებლობა, რომელიც ახლა მიმდინარეობს, ერთბაშად ბევრ საკითხს მოაგვარებს: გაიხსნება საკონდიტრო საამქრო, დამონტაჟდება სატვირთო ლიფტი. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ თავად მშენებლებსაც მეტი გაფრთხილება მართებთ: საშენი მასალები და ნარჩენები უწესრიგოდ არ უნდა მიმოფანტონ, თორემ ავადმყოფებს ხშირად უჭირთ თავიანთი ოთახებისკენ გზის გაგნება.

„მთის ხეობა“ კი ჰქვია, მაგრამ თუ გარეთ არ გამოხვედი, შენობის ინტერიერიდან არც მთა ჩანს და არც ხეობა, ისეა ვიტრინის მინები ჩაბინძურებული. სასადილოში აცვენილია იატაკის ფილები, სამზარეულოში ცხელ წყალს მორიგეობით დარაჯობენ, ჭურჭლის სარეცხი ფხვნილები ერთი წელია არ მიგვიღიაო, ჩივიან. მოკლედ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, სანატორიუმი რომ მომზადებული შეხვდეს საზაფხულო სეზონს.

პანსიონატ „ბახტრიონში“ (მთავარი ექიმი ო. მესხი) სარემონტო სამუშაოების ტემპი თუ არ დაჩქარდა, საეჭვოა, აქ 1 ივნისისათვის პირველი-მეექვსე სართულების რემონტი დაამთავრონ. ორასი დამსვენებელი, რომლებიც პანსიონატში ერთდროულად ცხოვრობენ, უკეთესი კვების, მკურნალობისა და მომსახურების მოლოდინშია...

საზაფხულო საკურორტო სეზონის ციებ-ცხელებას მოუცავს „პლატოც“. შეფ-მზარეული რომ ვიკითხეთ, ადგილზე არ დაგვხვდა, როცა მოვიდა, თავ-პირი მოთხუპნილი ჰქონდა — სადებავით დაგვამშვიდა, მღებავებს ვეხმარები, რემონტი რომ მალე დაგვიმთავრონო.

ამის შემდეგ აღარ გაგვკვირვებია სასადილოში უსუფთაობა და ანტისანიტარია, წინა დღეების მენიუ — ჩახაბარებელი იყო, ახალი კი — გამოსაკრავი, ფქვილის, ხორცისა და ტანსაცმლისთვის ერთი კუთხე მიუჩენიათ.

კურორტების მართვის ბორჯომის ტერიტორიულ საბჭოს მიმდინარე წელს ობიექტების კაპიტალური რემონტისთვის 416 ათასი მანეთი გამოუყვეს. გარდა ამისა, 100 ათასი მანეთი ორჯონიკიძის სახელობის მინერალური წყლების პარკის კეთილმოწყობას მოხმარდება. ეს სამუშაოები „საქკურორტსაბჭოს“ თბილისის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს ბორჯომის უბანმა (უფროსი მ. ლონდაძე) უნდა შეასრულოს.

პარკის კეთილმოწყობის პირველი რიგის სამუშაოები ითვალისწინებს მდინარე ბორჯომულას ნაპირგამაგრებას, საცურაო აუზის რეკონსტრუქციას, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნების მშენებლობას, კეთილმოწყობის კომბინატს დავალებული აქვს პარკში სკამების შეღებვა, ბილიკების გაყვანა, განათება, გამწვანება, მცირე არქიტექტურული ფორმების შეკეთება და სხვ.

მშენებლები იფიცებიან — სეზონის დადგომისათვის ყველაფერი მზად იქნებაო, ფიცი გვწამს, მაგრამ ბოლო რომ არ გვაკვირვებდეს, უფრო სასიამოვნო ის იქნება...

კურორტი — დამსვენებელი — მომსახურება. ამ ტრადიციულ სამკუთხედში სამედიცინო, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურება მთავარია. სათქმელი იმით უნდა დავიწყოთ, რომ ჯერაც ღარიბია რაიონის მთავარი სამედიცინო დაწესებულების — რაისავადმყოფოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უფრო მეტიც, უკანასკნელ ხანს უკონტროლობისა და მიშვებულობის შედეგად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა საავადმყოფოში სანიტარიულ-ტექნიკური და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, ყველაფერი ეს ავადმყოფების სამართლიან შეშფოთებასა და უკმაყოფილებას იწვევდა. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ახლა მდგომარეობა თანდათანობით სწორდება და ერთობ საშურ საქმედ ამ პოზიტიური პროცესის ყოველმხრივ დაჩქარება მიგვაჩნია.

საკურორტო სეზონისათვის აქტიური მზადების ნიშნით უნდა წარმართონ თავიანთი საქმიანობა ბორჯომის კურორტვაჭრობამ, ხილბოსტანვაჭრობამ და რაიკოოპერატივის გამგეობამ (ხელმძღვანელები — ლ. ბერიშვილი, ლ. ნოზაძე, მ. შერგელაშვილი). მათ მუშაობაში, და ეს თავადაც მშვენივრად უწყიან, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და ხარვეზია. თავის დანაპირებს არ ასრულებს ყველ-კარაქის ქარხნის ხელმძღვანელობა (დირექტორი — თ. კვირიკაშვილი), რომელიც სისტემატურად არღვევს ობიექტებში რძის პროდუქტების შეტანის გრაფიკს.

„გადავაქციოთ ბორჯომი სანიმუშო კულტურისა და წესრიგის კურორტ-ქალაქად!“ — ეს ლამაზად შესრულებული ლოზუნგი ამშვენებს ქალაქის შესასვლელს. ბორჯომელებს არ სჩვევიათ სიტყვის გატეხა და ამ მიმართულებით ქალაქში ბევრი სასიკეთო რამ კეთდება, თუმცა გზადაგზა, ერთი თვალის გადავლებაც კი საკმარისია, რომ ბევრი გულსატკენი ხარვეზი შენიშნო და დაინახო: კვლავ ჭუჭყიანია მდინარე მტკვრის სანაპირო, ქალაქის ქუჩები, ნაგავიც შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ გააქვთ.

ბოლო ხანებში უნებართვოდ აშენებული საქათმეები და საღორეები ლამის კურორტის მთავარი ატრიბუტი გახდეს.

შეფერხებანია წყლით მომარაგებაში, ამასთან 88 წყალსადენიდან ქლორით იწმინდება მხოლოდ 14. კიროვის, გამარჯვების, კოკინაკის, გურამიშვილის ქუჩებში ანტისანიტარიაა, აღსადგენია საზოგადოებრივი სარგებლობის ტუალეტები, ნაგავსაყრელები. ნაგვის ბუდედ არის გადაქცეული მაგალითად, რაისავადმყოფოსთან მისასვლელი გზის მარჯვენა მხარე... და ეს ხდება ბორჯომში, მსოფლიოში ცნობილ კურორტზე, სადაც წლის განმავლობაში ასი ათასზე მეტი დამსვენებელი მოდის.

როგორც ხედავთ, კურორტზე თუნდაც ელემენტარული სანიტარიულ-ჰიგიენური და საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად დიდი მუშაობა მართებთ არა მარტო სანეპიდსადგურს (მთავარი ექიმი თ. ჩორგოლიანი), არამედ ქალაქის წყალკანალიზაციის, თბომეურნეობის, კომუნალურ საწარმოთა კომბინატის, დასუფთავების კანტორის, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების (უფროსები: ნ. ორჯონიკიძე, ო. ყაველიშვილი, ო. აბრამიშვილი, ჯ. გოგოლაძე, ნ. მაკალათია) სამსახურებსაც.

რეიდის ამ მასალაში, რომელშიც ჩვენი სახელგანთქმული კურორტ-ქალაქის წლევანდელი სეზონის სამზადისზე ვისაუბრეთ, კრიტიკული შენიშვნები ჭარბობდა. ნაკლოვანებანი რომ აღმოვფხვრათ, ჯერ გულდასმით უნდა განვიხილოთ ისინი და სათანადო შეფასება მივცეთ მათ.

რეიდის მონაწილენი: რ. კაპანაძე — ბორჯომის კურორტების მართვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ლ. ხელისუფალი — საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ ტექნიკური განყოფილების კონსტრუქტორი, უ. ჯანგირაშვილი — გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის განყოფილების გამგე, მ. ხუციშვილი — სანეპიდსადგურის ექიმი, რ. მეძღლიშვილი — სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების შტატგარეშე ინსპექტორი, გ. ვაშაკიძე — „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-81, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 290-88-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-56; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 5-34-44 ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 25-66; [illegible] — 25-82.

ჩვენს ტელეეკრანზე

მოსკოვი

10 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — „გამარჯვების სტრატეგია“. მე-7 ფილმი. 10.35 — „ერთსულოვანი ოჯახი“. 10.55 — მოგზაურთა კლუბი. 11.55 — დოკუმენტური ფილმები. 12.25 და 15.30 — ახალი ამბები. 16.35 — საბჭოური სიმღერის კონცერტი. 16.55 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 17.30 — ა. გოლოვინი — სიმებიანი კვარტეტი. 17.50 — „ხსოვნა გულისა“. დიდების ორდენოსანთა შესახებ. 18.35 — [illegible]. 19.05 — მულტფილმები. 19.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მხიარულ ტალღაზე. 20.15 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 20.55 — მხატვრული ფილმი „ასე იწყებოდა ლეგენდა“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ფეხბურთი. თასების მფლობელთა თასი. ნახევარფინალი. ვენის „რაპიდი“ — მოსკოვის „დინამო“. შესვენებისას — 23.15 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — „რატომ არის ბამბა თეთრი“. ტელეფილმი. 10.05 და 13.40 — გერმანული ენა. 12.05 — დედის სკოლა. 14.10 — სახალისო ფიზიკა. 14.40 — [illegible]. სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 14.55 — იცი თუ არა კანონი? 15.40 — დრამატურგია დიდი სამამულო ომის წლებში. ლ. ლეონოვი — „შემოსევა“. 16.25 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — მუსიკალური კიოსკი. 19.50 — „საბჭოთა მეომარი“. კინოჟურნალი. 20.00 — სოფლის საათი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — „სოციალისტური ეკონომიკის მართვა“. 21.45 — ხალხური მელოდიები. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „უბრძანე საკუთარ თავს“. პირველი სერია. 23.35 — ახალი ამბები.

თბილისი

10 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — „მოამბე“. 10.05 — ახალგაზრდობისათვის — „ფესტივალის შესახვედრად“ (გამეორებით). 10.35 — სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი [illegible]. 10.55 — მოგზაურთა კლუბი (მ.). 11.55 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უკანასკნელი ნადირობა“. 12.35 — ჩვენს დიად სამშობლოში — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქი, რომელიც მიყვარს“. 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი (სტუდიაშია გ. გორგოძე). 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აპოლოგოვების საჰაერო გზები“. 14.15 — მასწავლებლის საათი — გეომეტრია (სტუდიაშია თ. ბერიტაშვილი). 14.45 — კინოჟურნალი. 14.55 — „იცი თუ არა შენ კანონი“ — საბჭოთა ადვოკატურის მუშაობის შესახებ (მ.). 15.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი [illegible]. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ გერმანული ენა (სტუდიაშია ნ. ცინცაძე). 16.45 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — დოკუმენტური ფილმი „ნავთობის კონტინენტთან“. 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.55 — მოსწავლეთათვის — „წყაროსთვალი“. სატელევიზიო ჟურნალი. 18.35 — „კვალი ნათელი“ — ილიკო სუხიშვილი. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ჩვენი სოფელი“. 21.20 — „ახალი ქართული ბალეტი“ — ა. მაჭავარიანის ბალეტი „ვეფხისტყაოსანი“ ლენინგრადის სცენაზე. 21.55 — ხვალ — ტელეეკრანზე. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ფეხბურთი თასის მფლობელთა თასზე. ნახევარფინალი: ვენის „რაპიდი“ — მოსკოვის „დინამო“. რეპორტაჟი ავსტრიიდან. შესვენების დროს (23.15) — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო ფილმი „დიდი ოჯახი“. 17.00 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 17.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი [illegible]. 18.10 — მასწავლებლის საათი.

თეატრი

10 აპრილი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ათას ერთი ღამე (57-ე აბონ. პირველი წარმ.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ჯაყოს ხიზნები; თბილისის სახელმწიფო დრამატული — [illegible] (მეოთხე აბონ. მეოთხე წარმ.); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — [illegible] და ერთი მამაკაცი; მინიატიურების სახელმწიფო — ფული და სიყვარული; მოზარდ მაყურებელთა ქართული (პლეხანოვის გამზ. № 127-ა) — [illegible] (№ 70 აბონ., 7 ს.); ფილარმონია — ვია [illegible] — „არგონავტები“ (დიდ საკონცერტო დარბაზში).

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნება გვებოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ იმ ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, კოლექტივებსა და ნაცნობ-მეგობრებს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება ილიკო სუხიშვილის გარდაცვალების გამო.

ილიკო სუხიშვილის ოჯახი.

რედაქტორის მოადგილე
ვ. ნაჭყებია.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო და კავშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბათუმის რძის ქარხნის დირექტორი

ნუგზარ აბელის ძე სიხარულიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08545 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის [illegible] სტამბა, ლენინის ქ. 14, [illegible]